# ადამიანის უფლებათა უმწვავესი კრიზისი საქართველოში

## 2025 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეჯამება

თბილისი
2025

**სარჩევი**

**შესავალი** ..... **3**

**1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება** ..... **4**

1.1. წამება და საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმები ..... 4

1.2. კერძო პირების მხრიდან ძალადობა ..... 6

1.3. ჩხრეკა და საპოლიციო კონტროლი ..... 7

1.4. ადმინისტრაციული დაკავებები, როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტი ..... 8

1.5. იძულებითი გაშიშვლების დამამცირებელი პრაქტიკა ..... 9

1.6. შეკრების თავისუფლების კრიმინალიზება და რეპრესიული პრაქტიკა ..... 9

*1.6.1. სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენება შეკრების მონაწილეების მასობრივი დაჯარიმებისთვის* ..... *11*

*1.6.2. ავტომაგისტრალების გადაკეტვის კრიმინალიზება, როგორც შეკრების თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთი ფორმა* ..... *12*

1.7. პოლიტიზებული მართლმსაჯულება პროტესტთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე ..... 12

1.8. სამოქალაქო საზოგადოება და გაერთიანების თავისუფლება ..... 14

1.9. გაერთიანების თავისუფლება და პოლიტიკური პარტიების აკრძალვა ..... 18

1.10. გამოხატვის თავისუფლება და მედია ..... 20

1.11. საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში ..... 23

**2. სოციალური უფლებების სტაგნაცია ქვეყანაში** ..... **24**

2.1. სიღარიბე და სოციალურად დაუცველობა ქვეყანაში ..... 24

2.2. ბავშვთა უფლებების უგულებელყოფა ..... 25

2.3. შშმ პირთა უფლებები ავტორიტარიზმის კვალდაკვალ ..... 27

2.4. სათანადო საცხოვრებლის უფლების სისტემური დარღვევები ..... 29

2.5. განათლების დაანონსებული რეფორმა ..... 30

2.6. შრომითი უფლებების რეალიზაცია ..... 31

*2.6.1. ჭიათურის კრიზისი* ..... *32*

*2.6.2. მშრომელთა დევნა ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პირობებში* ..... *33*

2.7. გარემოსდაცვითი უფლებები და გარემოსდამცველების დევნის პრაქტიკა ..... 34

**3. თანასწორობასთან დაკავშირებული უფლებრივი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება** ..... **36**

## შესავალი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ტრადიციულად წარმოადგენს 2025 წელს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი ტენდენციებისა და შემთხვევების მიმოხილვას. ცხადია, რომ აღნიშნული მიმოხილვა ამომწურავი არ არის და იგი მეტწილად ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხების შეფასებებს მოიცავს.

დაჩქარებულმა და აგრესიულმა ავტოკრატიზაციის პროცესმა საქართველოში 2025 წელს შემაშფოთებელი ფორმები მიიღო. "ქართულმა ოცნებამ", გარდა იმისა, რომ მთლიანად მიიტაცა სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს სისტემები, არაკონსტიტუციური და უკანონო მექანიზმების გამოყენებით მკვეთრად დაასუსტა პოლიტიკური ოპოზიცია, ინსტიტუციურად გაანადგურა სამოქალაქო საზოგადოება, ფინანსური კრიზისისა და კოლაფსის პირას მიიყვანა მედია, ხოლო მოქალაქეთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები საგრძნობლად შეზღუდა. ლეგიტიმაციის კრიზისის მქონე პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებებით სამართლის სისტემის გამოფიტვა ადამიანის უფლებების სტანდარტებისგან და მისი მზარდი დეგრადაცია სწრაფ და უკიდურესად თვითნებურ ფორმებს იღებს. მხოლოდ შეკრებებისა და მანიფესტაციების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონებში, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებულ ცვლილებებზე დაკვირვებაც კი ნათლად აჩვენებს ხელისუფლების მიზანმიმართულ მცდელობას შეზღუდოს და დაასუსტოს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების აღიარებისა და დაცვის ხარისხი ქვეყანაში. თანმდევად, ადმინისტრაციული პატიმრობის ვადებისა და ჯარიმების მკვეთრი ზრდა, შეკრებებზე გამოხატვის სხვადასხვა ფორმების შეზღუდვა, გზის გადაკეტვის კრიმინალიზება, ასევე შეურაცხყოფისა და ცილისწამების შემთხვევებზე გამოხატვის თავისუფლების დამცავი გარანტიების გაუქმება წარმოიშვა განსხვავებული მოსაზრებების ინსტიტუციური დევნის მძიმე მაგალითებად.

ავტორიტარული შემობრუნების პროცესს, დრამატულ ინსტიტუციურ და სამართლებრივ ცვლილებებთან ერთად, თან ახლდა მასობრივი ძალადობა, რომელიც 2024 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის პროტესტების დროს გამოვლინდა და რომელიც დღემდე გამოუძიებელია. მხოლოდ სახალხო დამცველის მონაცემების შედარებაც კი სხვადასხვა პროტესტის დროს გამოყენებული ძალადობის მასშტაბს შორის აჩვენებს ძალადობისა და სისასტიკის უპრეცედენტო ზრდას საქართველოში. კერძოდ, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული 2019 წლის 20–21 ივნისის აქციებზე დაკავებული პირებიდან 30.2% მიუთითებდა არასათანადო მოპყრობაზე; 2023 წლის 7–9 მარტის აქციებზე – 20.8%; 2024 წლის აპრილ–მაისის აქციებზე – 51.1%; 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე მონახულებული პირებიდან – 60%; ზამთრის აქციების დაშლის პირველ დღეებში

(2024 წლის 29 ნოემბერი – 2 დეკემბერი) – 79.5%; ხოლო 2025 წლის 2–3 თებერვალს მონახულებული 25 პირიდან 22, ანუ 88%, აცხადებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ.

ავტორიტარული მმართველობის გამყარების პროცესში "ქართული ოცნება" აგრესიულად იყენებს დეზინფორმაციის, პროპაგანდის, პოლარიზაციისა და სიძულვილის კულტივირების სტრატეგიებს, რაც საზოგადოების შიგნით ერთობას ასუსტებს და აჩენს შიდა სოციალურ და კულტურულ იერარქიებს. რეჟიმის მიერ მტრულად მონიშნული კონკრეტული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლგბტქი ადამიანების უფლებების პრაქტიკული გაუქმება საქართველოში და პოლიტიკური ჰომო/ბი/ტრანსფობიის ნორმალიზება.

ცხადია,რომ ავტორიტარული კონტექსტი და მმართველობის ლოგიკა ზიანსა და ტანჯვას აყენებს არა მხოლოდ პოლიტიკურ ოპონენტებს, არამედ დანარჩენ მოქალაქეებსაც. წლის განმავლობაში ნათლად ჩანდა "ქართული ოცნების" მიერ სოციალური უკმაყოფილებების დემონსტრაციული უგულებელყოფისა (მაგალითად, ბალდის, ჭიათურის, თვალჭრელიძის ქუჩიდან გამოსახლებულთა პროტესტი) და რეპრესირების ტენდენცია. ანტიდემოკრატიული საკანონმდებლო ცვლილებები საბოლოოდ მძიმე შედეგებით აისახება ყველა სოციალური ჯგუფსა და ფენაზე.

## 1. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება

### 1.1. წამება და საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმები

2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული მასშტაბური დემონსტრაციები 2025 წელსაც გაგრძელდა და, შესაბამისად, საპროტესტო აქციების ჩასახშობად, ხელისუფლება კვლავ მიმართავდა შეკრების მონაწილეების არასათანადო მოპყრობის და სისტემური საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმებს.

28 ნოემბერს და მომდევნო დღეებში სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. მედიებისა და მოქალაქეების მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ხშირად, მოქალაქის მიმართ გამოყენებულ ძალას არანაირი სამართლებრივი საფუძველი და ლეგიტიმური მიზანი არ ჰქონია და მხოლოდ დასჯას, ანგარიშსწორებასა და დაშინებას ემსახურებოდა. სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი ქმედებები, არაერთ შემთხვევაში, მისი ბუნებით, ინტენსივობითა და სისასტიკით, წამებასა და არაადამიანურ მოპყრობასა და დასჯას უტოლდებოდა. ამაზე მიუთითებენ როგორც საპროტესტო აქციის დროს დაკავებულები, ისე საქართველოს სახალხო დამცველი. იგივე მიგნებებია დაფიქსირებული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებში. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით კი, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1-ელ მარტამდე პერიოდში, სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირების 60%, ხოლო 29

ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე პერიოდში მონახულებული პირების 79.5% უთითებდა არასათანადო მოპყრობის შესახებ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ერთობლივი დოკუმენტირების პროცესის შედეგად, რომლის ფარგლებშიც შეკრების 117 მონაწილე გამოიკითხა, გამოვლინდა წამების და არასათანადო მოპყრობის უმძიმესი ფორმები და ტენდენციები. აქციების დაშლის პროცესი მოიცავდა სპეციალური დანიშნულების რაზმის მიერ აქციის მონაწილეთა უსაფუძვლო დაკავებასა და ცემას. დაკავებულები პოლიციის კორდონის მიღმა, მედიისგან მოშორებით გადაჰყავდათ, სადაც ძალადობა უფრო ინტენსიური ხდებოდა, განსაკუთრებით სადამსჯელო მიკროავტობუსებში. სპეცრაზმის წევრები მსხვერპლებს ჯგუფურად სცემდნენ სპეციალური ხელთათმანების, ფეხის, ზოგ შემთხვევაში კი კეტის ან სხვა ხელსაწყოს გამოყენებით, მიზანმიმართულად ურტყამდნენ თავისა და სახის არეში. ფიზიკურ ძალადობას თან ახლდა ნივთების წართმევა, შეურაცხყოფა, დამცირება და მუქარა, მათ შორის, გაუპატიურებით მუქარა. ცემა, რაც ხშირად რამდენიმე ეპიზოდად მიმდინარეობდა, გრძელდებოდა მიკროავტობუსებში, ტრანსპორტირების დროს და პოლიციის განყოფილებებშიც. ძალადობას თან ახლდა სამთავრობო ნარატივისთვის დამახასიათებელი ანტიევროპული და ჰომოფობიური რიტორიკა. არასათანადო მოპყრობა აგრეთვე მოიცავდა სპეციალური საშუალებების აქციის მონაწილეთა დასჯის მიზნით გამოყენებას. ცემის შემდეგ მსხვერპლებს გადასცემდნენ პატრულის ან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც მათ განყოფილებებში მიჰყავდათ და დაკავების შესახებ ყალბ ოქმებს აფორმებდნენ.

დარბევაში მონაწილე პოლიციელებს არ ეკეთათ მაიდენტიფიცირებელი ნომრები და სხვა ნიშნები, რაც უხეშად არღვევს საერთაშორისო სტანდარტებს. ეს პრაქტიკა გამორიცხავს დანაშაულებში მონაწილე პირების გამოვლენას, აძლევს მათ დაუსჯელობის გარანტიას და შეუძლებელს ხდის მოქალაქეთა დარღვეული უფლებების აღდგენას. ყველა გარემოება მიუთითებს, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ განზრახ შექმნა პირობები სპეცრაზმელებისა და სხვა თანამშრომლების იდენტიფიცირების შეუძლებლობისთვის, რაც დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

მიუხედავად დოკუმენტირებული საპოლიციო ძალადობის მასშტაბისა, სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილ სავარაუდო დანაშაულებზე გამოძიება უკიდურესად არაეფექტიანად მიმდინარეობს და ამ დრომდე არ გამოვლენილა არც ერთი პასუხისმგებელი პირი. ჯერ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში, შემდეგ კი, თბილისის პროკურატურაში გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, მაშინ, როდესაც დაზარალებულთა მიმართ ფიქსირდებოდა დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობა ან წამება, რაც სისხლის სამართლის კოდექსის $144^1$ და $144^3$ მუხლებით არის გათვალისწინებული. მართალია, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჩაატარა რიგი საგამოძიებო მოქმედებები, თუმცა გამოძიებაში გამოვლინდა ფუნდამენტური ხარვეზები. კერძოდ, არ გამოკითხულან პოლიციის საშუალო და მაღალი რგოლის თანამშრომლები, მათ

შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სპეციალურ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირები, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება ჰქონოდათ. ასევე, არ შესწავლილა შსს-ს მენეჯერული რგოლის მობილურ ტელეფონებსა და კომპიუტერულ ტექნიკაში არსებული ინფორმაცია.

ამასთან, გამოძიების ფარგლებში ვერ მოხერხდა მნიშვნელოვანი ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვება, რადგან სახელმწიფო უწყებებმა და საპოლიციო დანაყოფებმა განაცხადეს, რომ შეკრებების პერიოდში ხარვეზებით მუშაობდა როგორც სამეთვალყურეო კამერები, ისე ბორტ-კომპიუტერები და რადიოსადგურები. აღნიშნული გარემოების გადასამოწმებლად საგამოძიებო ორგანოებს დამატებითი ექსპერტიზა არ ჩაუტარებიათ.

### 1.2. კერძო პირების მხრიდან ძალადობა

2025 წელსაც დაფიქსირდა აქტივისტებზე და შეკრების მონაწილეებზე კერძო პირების ე.წ "ტიტუშკების", მხრიდან ძალადობის შემთხვევები, რომლებიც ამ დრომდე გამოუძიებელია და შერჩევითი მართლმსაჯულების უმძიმეს სურათს აჩვენებს.

2025 წლის 11 თებერვლის დილას, ლაშა გაბიტაშვილმა სოციალ ქსელში გაავრცელა ვიდეო, სადაც მასზე თავდასხმის შემდგომი მომენტია ასახული. გაბიტაშვილი ჰყვება, რომ მას საკუთარ სახლთან ახლოს თავს დაესხა სამი ნიღბიანი ადამიანი. მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში, ძალადობის მსხვერპლი მესამედ გახდა პოეტი ზვიად რატიანი. მანამდე, 2023 წლის 28 ნოემბერს მას ფიზიკურად გაუსწორდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, ხოლო 12 დეკემბერს კვლავ დაესხნენ თავს სადარბაზოსთან. მაისში კი რატიანმა დაწერა, რომ ავტობუსში დაესხნენ თავს, თუმცა პოლიციას აღარ მიმართავდა, რადგან შიშობდა, რომ პასუხისმგებლობას თავად დააკისრებდნენ. 5 მაისს, საცხოვრებელ კორპუსში თავს დაესხნენ აქტივისტებს, ნუცა მახარაძეს, ქეთი ჯანანაშვილს და სალომე სარიშვილს. თავდამსხმელმა ლიფტში მათ ჯერ „წიწაკის სპრეი", შემდეგ კი ბრილიანტის მწვანე შეასხა. რამდენიმე დღის შემდეგ, 11 მაისს, თავს დაესხნენ საპროტესტო აქციების მონაწილეს, თაია ცეკვავას. ორი უცნობი მამაკაცი მას გზაში დახვდა, ერთ-ერთმა „წიწაკის სპრეი" შეასხა და შემდგომ ძირს დააგდეს. თავდამსხმელებმა პირდაპირ უთხრეს, რომ ძალადობა პროტესტში მის აქტიურ მონაწილეობას უკავშირდებოდა. 2025 წლის 24 მაისს ფიზიკურად გაუსწორდნენ პოლიტიკოს, გრიგოლ გეგელიასაც. უკანასკნელი ასეთი შემთხვევის შესახებ ცნობილი 9 დეკემბერს გახდა, აქციების აქტიური მონაწილემ რომან აკოფოვმა განაცხადა, რომ საკუთარ საცხოვრებელ სახლთან ახლოს, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით სცემეს.

აღსანიშნავია, რომ ამ დრომდე პასუხისგებაში არ მიუციათ 2024 წელს მომხდარ ფაქტებზე, გიორგი მუმლაძეზე, ასევე გორელი აქტივისტის, ვახტანგ ფიცხელაურის გატაცებასა და მასზე ძალადობაზე პასუხისმგებელი პირები. 2024 წლის ზამთარში დაწყებული აქციების გაშუქებისას, არაერთი ჟურნალისტიც დაზარალდა. დღემდე დაუსჯელი არიან

ჟურნალისტებზე, მაკა ჩიხლაძესა და გიორგი შეწირულზე თავდამსხმელებიც. თავდამსხმელთა ვინაობა არ დაადგინეს არც ისეთ შემთხვევაზე, რომელიც პოლიციის უშუალო სიახლოვეს, მათ თვალწინ მოხდა. ასეთია, მაგალითად ჟურნალისტ მინდია გაბაძეზე თავდასხმის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ინციდენტს აკვირდებოდა, ეკიპაჟი არ დაედევნა თავდამსხმელებს და არც შემდგომ მიიღო ყველა ზომა მათი იდენტიფიცირებისთვის.

ამ დრომდე გამოუძიებელია აქტივისტზე, ნიკო მანაგაძეზე 2024 წლის ივნისში განხორციელებული თავდასხმა, მიუხედავად იმისა, რომ გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანან მასზე თავდამსხმელები. იმავე პერიოდში სცემეს აქტივისტ კოტე აბდუშელიშვილს. თავდასხმა ამ შემთხვევაშიც ხალხმრავალ ადგილზე, თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე მოხდა, სადაც დამონტაჟებულია არაერთი სამეთვალყურეო კამერა. არცერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაზე გამოძიების მიერ არ დადგენილა პასუხისმგებელი პირები. ასევე, დღემდე გამოუძიებელია 2024 წლის გაზაფხულის აქციებზე პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ პროცესში ჩართულ პირებზე ჩასაფრებით განხორციელებული თავდასხმის საქმეები. ყოველივე ზემოაღნიშნული წარმოშობს მყარ ვარაუდს, რომ მოძალადეები კოორდინირებული კამპანიის ფარგლებში, დაუსჯელობის გარანტიით ჩადიოდნენ მითითებულ დანაშაულებს.

კერძო პირების, თუმცა ამჯერად, მმართველ პარტიასთან კიდევ უფრო აშკარად დაკავშირებული პირების მხრიდან, ძალადობის კულმინაცია იყო შეკრების მონაწილეების მიმართ ჯგუფური ძალადობა მელიქიშვილის გამზირზე. 8 სექტემბერს კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან მობილიზებული პარტაქტივის ჯგუფი თავს დაესხა აქციის მონაწილეებსა და მედიას. რამდენიმე პირი დაშავდა, მათ შორის ჟურნალისტებიც. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სსკ-ის 126-ე (ჯგუფური ძალადობა), 187-ე (ნივთის დაზიანება/განადგურება) და 162[1]-ე (წინასაარჩევნო აგიტაციის დროს ძალადობა) მუხლებით, თუმცა გამოძიება უკიდურესად არაეფექტურად მიმდინარეობს, ხოლო საქმეზე თავდაპირველად დაკავებული ორი პირი მალევე, დაზარალებულების გამოძიებასთან ართანამშრომლობის საფუძვლით გაათავისუფლეს.

### 1.3. ჩხრეკა და საპოლიციო კონტროლი

2025 წელს საქართველოში კვლავ ფართოდ გამოიყენებოდა პოლიციის მიერ მოქალაქეთა თვითნებური ჩხრეკისა და დაკავების პრაქტიკა, რომელიც მიმართული იყო არა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისკენ, არამედ წარმოადგენდა მოქალაქეთა დაშინებისა და პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტს.

შეკრებების მიმდინარეობისას, განსაკუთრებით მეტროსადგურ „რუსთაველისა“ და „თავისუფლების მოედნის“ მიმდებარე ტერიტორიებზე, პოლიცია მოქალაქეებს მასობრივად აყოვნებდა, ამოწმებდა და პრაქტიკულად ჩხრეკდა მათ პირად ნივთებს, კანონისმიერი ინდივიდუალური საფუძვლების გარეშე. ზედაპირული შემოწმების ფარგლების დარღვევით,

პოლიცია მოქალაქეებს ჩანთების გახსნას სთხოვდა, მათ შორის, პროტესტთან დაკავშირებული ატრიბუტიკის გამო.

31 მარტს, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე პოლიციამ თვითნებურად დააკავა ლუკა კინწურაშვილი. დაკავებას წინ უძღოდა მისი ჩანთის შემოწმების მოთხოვნა, რასაც იგი დაემორჩილა, თუმცა პოლიცია დამატებით მოითხოვდა მის პირად მობილურ ტელეფონში „ტელეგრამის“ ჩატზე წვდომას, სამართლებრივი საფუძვლის განმარტების გარეშე. მას შემდეგ, რაც კინწურაშვილმა ადვოკატთან კონსულტაცია სცადა, პოლიციამ ტელეფონი ჩამოართვა და ადმინისტრაციული წესით დააკავა. დაკავებულს 6 საათის განმავლობაში არ მიეცა ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა.

6 აპრილს, თბილისში დააკავეს ჟურნალისტი საბა სორდია. მის დაკავებას წინ უძღოდა პოლიციის მხრიდან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოთხოვნა; პირადობის მიწოდების შემდეგ, პოლიციამ საბას ჩანთის გახსნაც მოსთხოვა, რასაც იგი დაემორჩილა, თუმცა შელაპარაკება მოჰყვა პოლიციის მიერ ჩანთის კიდევ ერთი ჯიბის გახსნის მცდელობას, რაზეც საბამ უთხრა, რომ იგი მზად იყო, თავად გაეხსნა ჩანთის შიგთავსი. ამ შელაპარაკებას საბა სორდიას დაკავება მოჰყვა.

აშკარაა, რომ შეკრების ადგილებში ან დემონსტრაციებთან დაკავშირებული ატრიბუტიკის გამო ჩხრეკებს აქვს „მსუსხავი ეფექტი“ შეკრების უფლების სარგებლობაზე და ქმნის მოქალაქეების დაშინების და ზეწოლის გარემოს.

### 1.4. ადმინისტრაციული დაკავებები, როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ინსტრუმენტი

2024 წლის ნოემბერში დაწყებული წინააღმდეგობის ფონზე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სისტემა გადაიქცა ხელისუფლებისთვის პროტესტის კონტროლისა და დასჯის ცენტრალურ იარაღად. დაკავებებს, როგორც წესი, ჰქონდა თვითნებური, კოლექტიური და სადამსჯელო ხასიათი და ემსახურებოდა არა ინდივიდუალური სამართალდარღვევის აღკვეთას, არამედ მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ჩახშობას.

2024 წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელში შევიდა ინფორმაცია 1 084 პირის შესახებ, ვის მიმართაც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება. მათგან 486 პირი ადმინისტრაციული წესით იყო დაკავებული; 405 პირი გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორებში, 55 - საავადმყოფოში მოხვდა პოლიციის მიერ ძალის გამოყენების გამო, 26 - დაკავების შემდეგ ხელწერილით გაათავისუფლეს. პარლამენტის მიმდებარე აქციებზე, თბილისში დაკავებული მრავალი მოქალაქე გადაჰყავდათ სხვა ქალაქების იზოლატორებში (მარნეული, საგარეჯო, გურჯაანი, სიღნაღი, მცხეთა, დუშეთი), რაც დამატებით ართულებდა ოჯახის წევრებისა და ადვოკატების წვდომას.

2025 წელსაც შეკრებების პარალელურად პოლიცია აგრძელებდა შეკრების მონაწილეების მასობრივ დაკავებებს რუსთაველის და თავისუფლების მეტროების მიმდებარე ტერიტორიაზე. დაკავების საფუძვლად მითითებული, უმეტესად, პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა იყო, ხოლო, რიგ შემთხვევებში, შეკრების მონაწილეებს საავტომობილო მოძრაობის შეფერხების გამოც აკავებდნენ.

### 1.5. იძულებითი გაშიშვლების დამამცირებელი პრაქტიკა

2024 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, პოლიციის მხრიდან საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების მიმართ იძულებითი გაშიშვლების პრაქტიკა დამკვიდრდა, რაც აქტივისტების დაშინებას, დამცირებასა და დასჯას ემსახურებოდა. ეს პრაქტიკა სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის ნაწილად იქცა.

კერძოდ, 2025 წლის მარტში, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ლიდერმა, ელენე ხოშტარიამ, გაასაჯაროვა ინფორმაცია, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლების პროცედურის დროს პოლიციის თანამშრომლებმა იძულებით გააშიშვლეს და მეტალოდეტექტორით შეამოწმეს. ხოშტარია ბოლომდე გააშიშვლეს, უკან შეუკრეს ხელები და საწოლზე დააწვინეს, რა დროსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შიშველ სხეულზე მეტალოდეტექტორს ატარებდნენ. ამ ფიზიკურ დამცირებას თან ახლდა სამედიცინო დახმარების შეზღუდვა, რადგან მას წამლის მიღების საშუალება არ მიეცა მაღალი წნევის ფონზე.

იძულებითი გაშიშვლების ფაქტი დაფიქსირდა ასევე სამოქალაქო აქტივისტის, გელა ხასაიას დაკავებისას. სასამართლო სხდომაზე ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცავებმა მას პირადი ჩხრეკის პროცესში, უსაფუძვლოდ, ორჯერ აიძულეს სრული გაშიშვლება. იმავე გამოცდილებაზე ჰყვებიან ქალი აქტივისტები ნუცა მახარაძე და ნენსი ვოლანდი.

### 1.6. შეკრების თავისუფლების კრიმინალიზება და რეპრესიული პრაქტიკა

2025 წელს ქართული ოცნების ხელისუფლებამ არა ერთი რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილება მიიღო, რითაც პრაქტიკულად შეკრების თავისუფლების სამართლებრივი გარანტიების სრული დემონტაჟი განახორციელა.

ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს, 2024 წლის 13 დეკემბერს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით, ჯარიმის ოდენობა 500 ლარიდან 5000 ლარამდე გაიზარდა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ'' საქართველოს კანონის სხვადასხვა ნორმის დარღვევის გამო, მათ შორის, შემდეგი ქმედებებისთვის: შეკრების ჩატარება სამართალდამცავი ორგანოების შენობებიდან ოცი მეტრის რადიუსში მდებარე ტერიტორიაზე; შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების ბლოკირება; ტრანსპორტის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, თუ ამას არ მოითხოვს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეთა რაოდენობა. შენარჩუნდა ასევე ალტერნატიული სანქცია, 15 დღემდე ვადით

ადმინისტრაციული პატიმრობა. ამავე საკანონმდებლო ცვლილებებით, აიკრძალა შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებისათვის სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვა, ხოლო სანქციად 2000 ლარიანი ჯარიმა განისაზღვრა.

6 თებერვალს ხელისუფლებამ დაჩქარებული წესით მიიღო მორიგი საკანონმდებლო ცვლილებები შეკრების თავისუფლების შესაზღუდად. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით გამკაცრდა სასჯელი ძალადობრივი ქმედებებისკენ საჯარო მოწოდებისთვის (მუხლი 239[1]), პოლიციელზე/სახელმწიფო წარმომადგენელზე წინააღმდეგობისა და ძალადობისთვის (მუხლები 353, 353[1]). ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებით, შეკრებებსა და გამოხატვასთან დაკავშირებული დარღვევებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა 15-დან 60 დღემდე გაიზარდა. სატრანსპორტო გზაზე და სპონტანურ აქციებზე დაწესდა გაფრთხილების სავალდებულო მოთხოვნა, აიკრძალა დახურულ სივრცეში შეკრება მესაკუთრის წერილობითი თანხმობის გარეშე, მკვეთრად შეიზღუდა პროტესტისა და პიკეტირების სივრცეები (შენობების შესასვლელები, ძირითადი სატრანსპორტო კვანძები, რიგი ადმინისტრაციული შენობები), პრაქტიკულად აიკრძალა კარვები და დროებითი კონსტრუქციები, ხოლო შსს-ის მიერ შეწყვეტილ შეკრებაში მონაწილეობა ცალკე სამართალდარღვევად იქცა.

ივლისში მიღებული ცვლილებებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგინდა, რომ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს ავტომატურად უნდა შეეფარდოს ადმინისტრაციული პატიმრობა, რითაც მოსამართლეს წაერთვა სანქციის განსაზღვრის დისკრეცია და გამოირიცხა პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობა.

ოქტომბერში მიღებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებების მომდევნო ტალღის შედეგად, კიდევ უფრო გამკაცრდა პასუხისმგებლობა პროტესტთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის. ნიღბით ან სხვა საშუალებით სახის დაფარვა, რომელიც იქამდე 2000 ლარით ან 7 დღემდე პატიმრობით ისჯებოდა, დასჯადი გახდა მხოლოდ ადმინისტრაციული პატიმრობით, რომლის მაქსიმალური ვადაც 15 დღემდე გაიზარდა. ასევე, შეკრებაზე ცეცხლსასროლი, ფეთქებადი, პიროტექნიკული ან სხვა საშიში საშუალებების ფლობისთვის, რომელიც აქამდე 5000 ლარით ან 15 დღემდე პატიმრობით ისჯებოდა, სანქციად 60 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა განისაზღვრა. გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვისთვის 5000 ლარიანი საჯარიმო სანქცია მთლიანად გაუქმდა და მხოლოდ პატიმრობა დარჩა.

ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშო ცვლილება მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის პრაქტიკული კრიმინალიზებაა: 16 ოქტომბერს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, არსებითად შეიცვალა სსკ-ის 347-ე მუხლის შემადგენლობა - იქამდე მოქმედი რედაქციით, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა მხოლოდ

ორგანიზატორისთვის ქმნიდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს, თუ ამან მძიმე შედეგი გამოიწვია. ცვლილებით კი, შსს-ის მიერ დაშლილ აქციაში მონაწილეობა, გზის სავალი ნაწილის ხელოვნურად გადაკეტვა, ნიღბით სახის დაფარვა, დროებითი კონსტრუქციის მოწყობა ან ცრემლსადენი საშუალების ტარება იმავე ქმედებებისთვის სახდელდადებული პირის მიერ, გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამ ქმედებებისთვის მხოლოდ თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული.

2025 წლის განმავლობაში მიღებული ავტორიტარული შეკრების შემზღუდველი ინიციატივების კულმინაციაა, 8 დეკემბერს ინიცირებული კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც ამჯერად ხალხის სავალი ნაწილის ხელოვნურ გადაკეტვასაც კი კრძალავს, მათ შორის ავტომანქანებით, კონსტრუქციებითა და სხვადასხვა საგნებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის შეკრების მონაწილეთა რაოდენობა მოითხოვს.

### *1.6.1. სახის ამომცნობი ტექნოლოგიების გამოყენება შეკრების მონაწილეების მასობრივი დაჯარიმებისთვის*

უწყვეტი დემონსტრაციების ფონზე, „ქართული ოცნება“ შეკრების მონაწილეების წინააღმდეგ ფართოდ იყენებს ვიდეომონიტორინგს და სახის ამომცნობ ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით 2024 წლის დეკემბრიდან, როცა ქუჩის გადაკეტვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჯარიმები მკვეთრად გამკაცრდა. რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის მიმდებარედ, ბოლო თვეებში დამონტაჟდა რამდენიმე ათეული სამეთვალყურეო კამერა, მათ შორის 112-ის მიერ შეძენილი ჩინური წარმოების სისტემები, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანების იდენტიფიცირება. ამ კამერების გამოყენებით ხდება ბიომეტრიული და სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მასობრივი დამუშავება და, პრაქტიკაში, ისინი ასობით დემონსტრანტის იდენტიფიცირებისა და დაჯარიმების მთავარ ინსტრუმენტად გადაიქცა.

ამ ტექნოლოგიების გამოყენების ფონზე, ხელისუფლება უკიდურესად მაღალი სანქციებით ცდილობს პროტესტის მონაწილეთა სამაგალითოდ დასჯას. ამის ერთ-ერთი ყველაზე აშკარა მაგალითია გოტა (გიორგი) ჭანტურიას საქმე: შსს-მ 2025 წლის 11 თებერვლიდან 29 სექტემბრამდე მხოლოდ გზის სავალი ნაწილის გადაკეტვასთან დაკავშირებული ეპიზოდებისთვის გოტა ჭანტურია 73-ჯერ დააჯარიმა და საერთო ჯამში 365 000 ლარის საჯარიმო ქვითარი გამოუწერა, საიდანაც 315 000 ლარი თბილისის საქალაქო სასამართლომ უკვე ძალაში დატოვა. ასეთი მასშტაბის ჯარიმები და ბიომეტრიული ზედამხედველობა შეკრების თავისუფლების რეალიზებას დაშინებისა და პროტესტის ჩახშობის მიზნით ზღუდავს და ქმნის „მსუსხავ ეფექტს“, რომელიც მოქალაქეებს აქციებში მონაწილეობისგან თავის შეკავებისკენ უბიძგებს.

### *1.6.2. ავტომაგისტრალების გადაკეტვის კრიმინალიზება, როგორც შეკრების თავისუფლების შეზღუდვის კიდევ ერთი ფორმა*

თბილისი მოლის მიმდებარედ 2 თებერვალს დაგეგმილი მშვიდობიანმა აქციის გამო 31 იანვარს მთავრობამ შეცვალა სტრატეგიული ობიექტების ნუსხა და მას საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები დაამატა, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საფუძველი გახდა. 4 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ინფორმაცია 8 პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ „სტრატეგიული ობიექტის ჯგუფურად ბლოკირების მცდელობის“ ბრალდებით. სსკ-ის 222-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც აქციის მონაწილეები დააკავეს, პასუხისმგებლობას აწესებს სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ბლოკირებისთვის, თუმცა არ განსაზღვრავს, თუ რას ნიშნავს ასეთი ობიექტი და არც იმას, რომ მისი ჩამონათვალი მთავრობის დადგენილებით დგინდება. შესაბამისად, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ საკუთარი აქტით შექმნა დამატებითი საფუძველი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის, საკანონმდებლო ორგანოს  მონაწილეობის გარეშე. ამ ნაბიჯმა ერთდროულად დაარღვია როგორც კანონიერების, ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის, ისე კანონის ზოგადობის პრინციპი: ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახდა მხოლოდ მთავრობის დადგენილების ცვლილებით, რაც წინააღმდეგობაშია nullum crimen sine lege სტანდარტთან; ცვლილება განხორციელდა არა ზოგადი საჭიროებიდან, არამედ კონკრეტული, უკვე დაანონსებული აქციის ჩასახშობად; მონაწილეებს წინასწარ  ხელი არ მიუწვდებოდათ მკაფიო ინფორმაციაზე, რომ მათი ქმედება სისხლისსამართლებრივად დასჯადი იყო.

## 1.7. პოლიტიზებული მართლმსაჯულება პროტესტთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე

2025 წელი პოლიტიკური მართლმსაჯულების უპრეცედენტო დონით აღინიშნა. ამ დროისთვის პროტესტთან დაკავშირებული ბრალდებებით ან/და პოლიტიკური ნიშნით სისხლის სამართლის წესით პატიმრობაში იმყოფება 100-ზე მეტი პირი. 4 ოქტომბრის საქმესთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის დევნა დაწყებულია 73 პირის მიმართ, მათგან - 61 პირს შეეფარდა პატიმრობა, 10 პირის მიმართ გამოყენებულია გირაო, ხოლო 2 პირზე გამოცხადებულია ძებნა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) მიერ გამოქვეყნებული 2024-2025 წლებში აქციების კონტექსტში დაკავებული პირების პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკვირვების შედეგები აღწერს მნიშვნელოვან პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეების მიმდინარეობისას გამოვლინდა.

პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მაგალითია მზია ამაღლობელის, ბათუმელებისა" და "ნეტგაზეთის" დამფუძნებლის და დირექტორის საქმე. 18 ნოემბერს იგი სააპელაციო სასამართლომ 2 წლიან პატიმრობაში დატოვა. როგორც ცნობილია, მზია ამაღლობელი სასჯელს ბათუმის პოლიციის უფროსის, ირაკლი დგებუაძისთვის სილის გაწვნისთვის იხდის. მისი სისხლის სამართლის წესით დაკავებას წინ უძღოდა 2025 წლის 11 იანვარს, გარე ფასადზე სტიკერის გაკვრის გამო დაკავება. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მითითებით, რომელიც მზიას ინტერესებს იცავს, მზია ამაღლობელის მიმართ პოლიციამ შეადგინა გაყალბებული ოქმი 173-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც შეიცავდა სრულად მცდარ ინფორმაციას, მათ შორის დამკავებელი პირის შესახებ. მზია ამაღლობელის მხედველობა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსების შემდგომ საგრძნობლად გაუარესდა და საგანგაშო ნიშნულზეა. არაერთი მიმართვის მიუხედავად, მას არ უტარდებოდა მკურნალობის დასაგეგმად საჭირო გამოკვლევები და ვერ იღებდა ექიმის სათანადო კონსულტაციას, რაც მხედველობის შესანარჩუნებლად მკურნალობის დასაგეგმად ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად იყო აუცილებელი. საია-ს ცნობით, შესაბამისი მიმართვა კვლევების შერჩეულ კლინიკაში ჩატარების შესახებ, მხოლოდ 8 დეკემბერს დაკმაყოფილდა.

10 სექტემბერს, მელიქიშვილის გამზირზე საარჩევნო ბანერის დაზიანებისთვის სისხლის სამართლის წესით დააკავეს 23 წლის სტუდენტი მეგი დიასამიძე. სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც მეგი დიასამიძის მიმართ გამოძიება დაიწყეს, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს სხვისი ნივთის დაზიანებისთვის ან განადგურებისთვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი უნდა გამოიწვიოს. მნიშვნელოვან ზიანი ამ მუხლის მიზნებისთვის სახეზეა, თუ ნივთის ღირებულება 150 ლარს აღემატება. სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკით, განადგურება უკავშირდება ნივთის იმგვარ მდგომარეობას, როცა იგი სრულიად უსარგებლო ხდება გამოსაყენებლად ან აღარ არსებობს, ხოლო დაზიანების დროს ნივთი კვლავ სახეზეა, თუმცა არა პირვანდელი სახით და მისი აღდგენა შესაძლებელია. მედიაში გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ კახი კალაძის ბანერზე გაკეთებული წარწერა: "რუსული ოცნება", იშლება, ქართული ოცნების შტაბის წევრები მალევე შლიან და ნათლად ჩანს, რომ ბანერი დაზიანებული არ არის. მეგი დიასამიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეეფარდა.

19 ოქტომბერს, ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების შემდეგ, გირაოთი გათავისუფლდა კიდევ ერთი პატიმარი ქალი, ნინო დათაშვილი, რომელსაც ბრალი სასამართლოს მანდატურებზე თავდასხმა ედება, სისხლის სამართლის კოდექსის 353[2] მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს საჯარო მოსამსახურეზე თავდასხმას, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

2025 წლის 23 ივნისს დააკავეს პოეტი ზვიად რატიანი. პროკურატურა მას პოლიციის თანამშრომლისთვის სილის გაწვნის გამო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353[1]-

ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავებოდა, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს და სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. 2025 წლის 9 ოქტომბერს სასამართლომ საქმე გადააკვალიფიცირა და რატიანს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქართველოს პროკურატურამ 2025 წლის 3 ნოემბერს სისხლის სამართლის დევნა დაიწყო გზის მეორედ გადაკეტვის გამო. საქმის ფარგლებში ბრალი წარედგინა 61 წლის ზურაბ მენთეშაშვილს, რომელსაც პროკურატურა გზის ხელოვნურად გადაკეტვას ედავება, როდესაც ხალხის მცირე რაოდენობის გამო არ არსებობდა და შეკრების მონაწილეს გზის გადაკეტვისთვის ადმინისტრაციული სახდელი ერთხელ უკვე ჰქონდა შეფარდებული. ამავე დღეს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და ზურაბ მენთეშაშვილს დაუსაბუთებლად შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახე - პატიმრობა.

2025 წლის 6 ნოემბერს საქართველოს პროკურატურამ სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის, მათ შორის ე.წ. საბოტაჟის ბრალდებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო რვა ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერის წინააღმდეგ. ამ რვა პოლიტიკოსიდან ექვსი (მიხეილ სააკაშვილი, გიორგი ვაშაძე, ნიკა გვარამია, ნიკა მელია, ზურაბ ჯაფარიძე და ელენე ხოშტარია) ამ დროისთვის უკვე ციხეში იმყოფებოდა, ხოლო დარჩენილი ორის (მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე) მიმართ მილიონიანი გირაო იქნა გამოყენებული. წარდგენილი მძიმე ბრალდებები 2-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ორი სხვადასხვა მუხლით („გავრილოვის ღამის“ ეპიზოდზე - 25, 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით - ორ პირზე მეტის მიმართ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება; ჩორჩანაში საგუშაგოს გახსნის საქმეზე - 333-ე მუხლის მე-2 ნაწილით - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) აქვს დაუსწრებლად წაყენებული ბრალი ოპოზიციის კიდევ ერთ ლიდერს გიორგი გახარიასაც.

### 1.8. სამოქალაქო საზოგადოება და გაერთიანების თავისუფლება

2023 წელი გამორჩეულად მძიმე აღმოჩნდა დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციებისათვის. „უცხოური გავლენების შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც მრავალათასიანი საპროტესტო აქციების გამო „ქართულმა ოცნებამ“ 2023 წელს უკან გაიტანა, 2024 წელს კვლავ დააბრუნა დღის წესრიგში და მასობრივი წინააღმდეგობის მიუხედავად მაინც მიიღო. სამოქალაქო საზოგადოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა 2025 წელსაც მუდმივად მძიმდებოდა. აშკარა გახდა, რომ საკანონმდებლო პოლიტიკის მთავარი მიზანი სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის სრულად მოშლა და მისი შეუქცევადად დასუსტება იყო.

2025 წელს „ქართულმა ოცნებამ“ ახალ ეტაპზე გადაიყვანა სამოქალაქო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ონლაინ მედიებისა და ზოგადად ყველა იმ პირის საქმიანობის საკანონმდებლო დონეზე დევნა, რომლებიც თავიანთ საქმიანობას უცხოური პარტნიორების დახმარებით, გრანტების სახით იღებდნენ. კერძოდ, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა წლის პირველ ნახევარში, თითქმის ერთდროულად მიიღო „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ (FARA), ცვლილებები შეიტანა „გრანტების შესახებ“ კანონში და ამასთან, ფაქტობრივად ყველა საკანონმდებლო აქტიდან ამოიღო კანონშემოქმედებით თუ დემოკრატიულ ორგანოთა დაკომპლექტების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სავალდებულოდ ჩართულობის დამდგენი ნორმები.

„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ სიტყვიერად ამერიკული „FARA-ს“ (უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი) თითქმის ზუსტი ანალოგია. თუმცა, 1938 წელს შეერთებული შტატებში მიღებული კანონისგან განსხვავებით, რომელიც მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნის ძალის აგენტების საქმიანობას არეგულირებს და მისი რეალური შინაარსი და ლიმიტები, იქ არსებული პრეცედენტული სამართლის სისტემის წყალობით, სასამართლო გადაწყვეტილებებით განისაზღვრება, საქართველოში მისი ანალოგი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების, აქ მომუშავე პირების შეზღუდვისა და კონტროლის მიზნით იქნა შემოღებული. "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონისგან განსხვავებით, ე.წ. „ქართული FARA” ვრცელდება ფიზიკურ პირებზე და ნებისმიერ, კანონმდებლობით განსაზღვრულ ორგანიზაციული ფორმის გაერთიანებაზე (მეწარმე, კორპორაცია, შპს და სხვ.), უცხოურ პრინციპალად კი განისაზღვრება ნებისმიერი სხვა სახელმწიფო (და არამხოლოდ მტრულად განწყობილი), სხვა ქვეყნის პარტია, ორგანიზაცია თუ ფიზიკური პირი. კანონის თანახმად, უცხოური პრინციპალის აგენტად ითვლება პირი, რომელიც უცხოური ძალის გავლენითა და მისი დავალებების შესაბამისად მოქმედებს და იმავდროულად ახორციელებს პოლიტიკურ საქმიანობას. ამ უკანასკნელში კი იგულისხმება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოდ ანტიკორუფციული ბიურო განისაზღვრა, ე.წ. „გამჭვირვალობის კანონისგან“ განსხვავებით კი „ქართული FARA” სავალდებულო რეგისტრაციაზე უარის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ჯარიმის ან 5 წლამდე პატიმრობის ვადით.

რაც შეეხება „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილ ცვლილებებს, პირველ ეტაპზე განხორციელებული ცვლილებებით, გრანტის გაცემისას უცხოური ორგანიზაციის მხრიდან სავალდებულო გახდა მთავრობის წინასწარი თანხმობის მიღება, რაც ამ უკანასკნელს შეუზღუდავ დისკრეციას ანიჭებს კანონით წინასწარ გაწერილი წინაპირობების არარსებობის რეალობაში. უნებართვო გრანტის გაცემისა და მიღების კონტროლი დაევალა ანტიკორუფციულ ბიუროს, მათ შორის კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ქონებასა და ანგარიშებზე ყადაღის დადების გზით. გრანტის მიმღების მიერ კანონის დარღვევით გრანტის მიღება კი ამ გრანტის ორმაგი ოდენობით მის პასუხისმგებლობას იწვევს. მოგვიანებით იმავე კანონში შესული ცვლილებებით კიდევ უფრო გაფართოვდა გრანტის გამცემ ორგანიზაციათა

ჩამონათვალი, გაიზარდა გრანტის ჩამონათვალიც და მას დაემატა უცხოური გრანტების გამცემი სუბიექტების მიერ გრანტის მიმღებისთვის გაწეული ტექნიკური დახმარებაც, რითაც ნათელი გახდა „ქართული ოცნების“ მიზანი, კონტროლს მიღმა არ დაეტოვებინა ადგილობრივი სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების ნებისმიერი ტიპის თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან.

2025 წელს „ქართულმა ოცნებამ“ მთელ რიგ კანონებში ცვლილებების გზით ასევე გააუქმა მმართველობის სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის ვალდებულება, რითაც შეზღუდა სახელმწიფოს ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე საქმიანობით დაინტერესებული მოქალაქეების ჩართულობის შესაძლებლობა საჯარო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში. შეზღუდვები შინაარსის მიხედვით სამ ძირითად მიმართულებას შეეხო: მმართველობის პროცესში მონაწილეობის შეზღუდვა (მაგ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საპროკურორო საბჭოს დაკომპლექტების პროცესიდან ამორიცხვა); კონკრეტულ თანამდებობის პირთა არჩევის პროცესში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობის გაუქმება (მაგ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის, საზმაუს სამეურვეო საბჭოს წევრის კანდიდატურის შერჩევა) და ბოლოს, საკონსულტაციო პროცესებში სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობისა და მონაწილეობის შესაძლებლობების გაუქმება (მაგ. სახალხო დამცველთან კონსულტაციები ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით).

რეპრესიული საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირების შემდეგ დამოუკიდებელი სამოქალაქო და მედია ორგანიზაციების შევიწროება „ქართულმა ოცნებამ“ შემდგომ, აღსრულების ეტაპზე გადაიყვანა.

2025 წლის 17 და 19 ივნისს სამოქალაქო საზოგადოების 7-მა ორგანიზაციამ - “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ”, “საფარმა”, “სამოქალაქო საზოგადოების ფონდმა”, “ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC)”, “საქართველოს მომავლის აკადემიამ”, “მედიის განვითარების ფონდმა” და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების მიერ გაცემული ბრძანებები მიიღო, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ დააკმაყოფილა ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკებისგან, აგრეთვე შემოსავლების სამსახურისა და უშუალოდ დასახელებული ორგანიზაციებისგან გამოითხოვა 2024 წლიდან განხორციელებულ საქმიანობაზე ყველა სამართლებრივი, ტექნიკური და ფინანსური შინაარსის მქონე ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლებად მითითებული იყო “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” ორგანული კანონი, “გრანტების შესახებ” საქართველოს კანონი და “კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ” საქართველოს კანონი, მაგრამ არა უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის

აქტი (ე.წ. FARA), რომლებიც არსებულ მოთხოვნასთან და ამ ორგანიზაციების საქმიანობასთან სრულად არარელევანტური იყო. აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით უშედეგოდ გასაჩივრების შემდგომ ორგანიზაციების ნაწილმა ბიუროს წერილით მიმართა და ყოველგვარი დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე მიუთითა საჯარო წყაროებში არსებულ მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე, მეორე ნაწილმა, მათ შორის სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, ბიუროს მხოლოდ შეზღუდული ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც არ მოიცავდა ორგანიზაციების ბენეფიციართა პირად და სენსიტიური ინფორმაციას.

მოგვიანებით, ანტიკორუფციულმა ბიურომ უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის (FARA) საფუძველზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის "სოციალური სამართლიანობის ცენტრის", "საფარის", "სამოქალაქო საზოგადოების ფონდის", "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს", "მედიის განვითარების ფონდისა და "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED)") წინააღმდეგ ინსპექტირება დაიწყო და მოითხოვა წერილობითი ახსნა-განმარტება, თუ რატომ არ დარეგისტრირდნენ ეს ორგანიზაციები უცხოეთის აგენტებად, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. მალევე, 8 სექტემბრიდან კი 100-მდე არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო ანტიკორუფციული ბიუროს წერილი "გრანტების შესახებ" კანონის გამოყენებით მონიტორინგის დაწყების შესახებ. რაჟდენ კუპრაშვილი ორგანიზაციებისგან მოითხოვს 2025 წლის 16 აპრილის შემდეგ პერიოდში ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა კატეგორიის მოცულობით ინფორმაციას.

27 აგვისტოს, საქართველოს პროკურატურამ ე.წ. „საბოტაჟის საქმეზე" მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 7 სამოქალაქო ორგანიზაცია, მათ შორის - "სოციალური სამართლიანობის ცენტრი", "სამოქალაქო საზოგადოების ფონდი", "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)", "ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)", "დემოკრატიის მცველები", "საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)" და "საფარი" დააყადაღა. ამავე საქმის ფარგლებში 2025 წლის მარტში დაყადაღდა სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების ანგარიშებიც, მათ შორის ადამიანის უფლებათა სახლი. როგორც შემდგომ ცნობილი გახდა, პროკურატურა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს „კოორდინირებულად საპროტესტო დემონსტრაციების მონაწილეების დაფინანსებას" ედავება, მტკიცებულებად კი ამ ორგანიზაციების ნაწილის მიერ საკუთარი თანამშრომლებისთვის პროტესტის მონიტორინგისთვის საჭირო ფიზიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის შეძენას (პირბადეები, დამცავი სათვალეები, წიწაკის სპრეი და სხვა) მიუთითებს, რისი არათუ უფლება, არამედ ვალდებულებაც საერთაშორისო სამართლითაა გათვალისწინებული მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციებისთვის. მომდევნო დღეებში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში სასამართლოს წინაშე ასევე გამოიკითხნენ აღნიშნული ორგანიზაციების ხელმძღვანელებიც. დაყადაღებული ორგანიზაციები ამ დროისთვის თავიანთი შესაძლებლობის ფარგლებში შეზღუდულად, მოხალისეობრივად აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და მოქალაქეთა დახმარებას.

საქართველოში ავტორიტარული შემობრუნების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო სიგნალი 2023 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების მცდელობა იყო, რომელიც მიზანში იღებდა დამოუკიდებელ სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებს. წლების განმავლობაში ამ ორგანიზაციების მიმართ მტრული გარემოს ჩამოყალიბებისა და ვერბალური თავდასხმების შემდეგ, სწორედ სამოქალაქო სექტორის სამართლებრივი მექანიზმებით დევნა, მათი ორგანიზაციული ინფრასტრუქტურის მოშლა და უკიდურესად დასუსტება გახდა პირველი დიდი ნაბიჯი „ქართული ოცნების“ მიერ ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის სწრაფ და მტკივნეულ გზაზე. „ქართული ოცნების“ მიერ აღებული ეს ტრაექტორია, სამწუხაროდ, ვერც საერთაშორისო დონეზე უპრეცედენტოდ კრიტიკულმა პოლიტიკურმა გამოხმაურებებმა თუ სამართლებრივმა შეფასებებმა შეცვალა, რაც სამოქალაქო სექტორის დამანგრეველი არაერთი საკანონმდებლო ინიციატივის მიღებას მოჰყვა. ცხადია, რომ ეს პროცესი არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე ახდენს გავლენას, არამედ პირველ რიგში იმ ადამიანებზე და თემებზე, ვისაც ეს ორგანიზაციები წლების განმავლობაში აწვდიდნენ სერვისებს და მხარდაჭერას. ამავდროულად სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური ნაწილის დასუსტება მკვეთრად აუარესებს პლურალიზმისა და დემოკრატიის მდგომარეობას და მოქალაქეებს მარტოებს ტოვებს სახელმწიფო ძალადობისა და უგულებელყოფის წინაშე. მას განსაკუთრებით დამანგრეველი გავლენა ექნება სხვადასხვა მოწყვლად სოციალურ ჯგუფზე, რომელთა მხარდაჭერისთვის სახელმწიფო ყოველთვის ნაკლებად ძალისხმევას წევდა და დაცვის გარეშე რჩებოდა.

აღნიშნულის მიუხედავად, ქართული საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ორგანიზაციები მედეგობას აჩვენებენ და უმძიმესი სამართლებრივი თუ ფინანსური შეზღუდვების ფონზე აგრძელებენ კრიტიკულ საქმიანობას და „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში დაზარალებული ადამიანების დახმარებას.

### 1.9. გაერთიანების თავისუფლება და პოლიტიკური პარტიების აკრძალვა

„ქართული ოცნების“ მიერ ძალაუფლების ავტორიტარული კონსოლიდაციის დაჩქარებულ პროცესში ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი იქცა. ოპოზიციური პარტიების ლიდერების სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლებით სისხლისსამართლებრივი დევნის და პოლიტიზირებული მართლმსაჯულების სისტემის ხელით მათი უმრავლესობის პატიმრობაში გაშვების პარალელურად, „ქართულმა ოცნებამ“ 2025 წელს აქტიურად დაიწყო საკუთარი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირების - ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ოფიციალურად აკრძალვისთვის საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირების პროცესი.

27 მარტს პარლამენტში დაინიცირდა ცვლილებების პროექტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონებში, რომლის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიენიჭა

უფლებამოსილება, „აკრძალოს პარტია, რომლის გაცხადებული მიზანი ან/და საქმიანობის არსი (მათ შორის, პერსონალური ან/და შესაბამის საარჩევნო კომისიაში წარდგენილი პარტიული სიის შემადგენლობა) არსებითად იმეორებს ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აკრძალული პარტიის გაცხადებულ მიზანს ან/და საქმიანობის არსს (მათ შორის, პერსონალურ შემადგენლობას)." ამასთან, საკონსტიტუციო სამართალწარმოების ზოგადი წესისგან განსხვავებით შემცირდა პარტიის აკრძალვის საკითხის განხილვის ვადები და დადგინდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იყოს სარჩელის წარდგენიდან არაუმეტეს 9 თვეში, ხოლო მსგავსი პარტიის აკრძალვაზე კი - მაქსიმუმ 2 კვირაში.

„ქართული ოცნების" გაცხადებული მიზანი, „კოლექტიური ნაცმოძრაობის" არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა იყო. თუმცა, ცვლილებების ინიციირებიდან მალევე გახანგრძლივდა თავად „ოცნების" მიერ პარლამენტში შექმნილი ლეგიტიმაციის კრიზისის მქონე დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის ვადა და გაფართოვდა მანდატი, რომელმაც ასევე მოიცვა პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შესწავლა და რომლის დასკვნასაც არსებითად უნდა დაყრდნობოდა „ოცნების" მიერ საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენი სარჩელის დასაბუთება. შესაბამისად, ოპოზიციურ პარტიებს ფორმალურად მიეცათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღოთ 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, რითაც მხოლოდ ორმა პარტიამ „ძლიერი საქართველო - ლელომ" და „გახარია - საქართველოსთვის" ისარგებლეს.

თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ მალევე - 8 ოქტომბერს, დაჩქარებული წესით განსახილველად დაინიციირდა კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი იმავე საკანონმდებლო აქტებში, რომლითაც განისაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილ პოლიტიკურ პარტიასთან „დაკავშირებული სათანადო პირ(ებ)ის „მიერ პოლიტიკური გაერთიანების შექმნის, პარტიაში სხვადასხვა ფორმით საქმიანობისა და წევრობის, ასეთი პირ(ებ)ისთვის პასიური საარჩევნო და საჯარო თანამდებობის დაკავების ძირითადი უფლებების შეზღუდვა, ასევე ასეთი პირების უფლებამოსილებების შეწყვეტა შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოებში. ამ პირებს ასევე აეკრძალათ შემოწირულობების გაღება სხვა პარტიის სასარგებლოდ, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსით დადგინდა იმ პოლიტიკური პარტიის პასუხისმგებლობა (ჯარიმის სახით), რომელიც არ შეასრულებს ან ხელს შეუშლის საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებას.

აღნიშნული ცვლილებების საფუძველზე, 31 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლოში დარეგისტრირდა „ქართული ოცნების" პარლამენტის 88 წევრის კონსტიტუციური სარჩელი „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა", „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა", „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!" საქმიანობის კონსტიტუციურობისა და აკრძალვის საკითხზე, რომელიც სასამართლოს პირველმა

კოლეგიამ უნდა განიხილოს. სარჩელით მოთხოვნილია მხოლოდ პარტიების აკრძალვა და არა ინდივიდუალური პირების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის საკითხი, თუმცა დოკუმენტს თან ერთვის „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა“. აღნიშნულ საქმეზე განმწესრიგებელი სხდომა საკონსტიტუციო სასამართლოში ამ დრომდე არ ჩანიშნულა. თუმცა, იმ პირობებში, რომ ქვეყანაში დღეის მდგომარეობით ყველა დემოკრატიული ინსტიტუცია, მათ შორის კი საკონსტიტუციო სასამართლო მიტაცებულია „ქართული ოცნების“ მიერ და კონსტიტუციური სულისკვეთების ერთგული და „ქართული ოცნების“ საკანონმდებლო რეფორმების მიმართ კრიტიკულად განწყობილი სამართლებრივი პოზიცია, მხოლოდ მოსამართლეთა უმცირესობაშია. მოლოდინი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ზემოაღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელს დააკმაყოფილებს, ძალიან მაღალია.

პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიმართ პოლიტიზირებული მართლმსაჯულების განხორციელებისა და საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირების შედეგად აშკარაა, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს მისთვის არასასურველი პოლიტიკური ოპონენტების პოლიტიკური ველიდან სრულად განდევნას, რაც არა მხოლოდ შლის პოლიტიკურ პლურალიზმს  და ამ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას, არამედ ქვეყანაში ქმნის გარემოს, სადაც კანონი და მართლმსაჯულება პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება. ამგვარი მიზანი კი ქვეყანაში ერთპიროვნული მმართველობის კიდევ უფრო გამყარება და ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის საბოლოოდ დასრულებაა.

### 1.10. გამოხატვის თავისუფლება და მედია

ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის სწრაფად მზარდი რეალობა 2025 წელს არანაკლებ მძიმედ შეეხო ქართულ მედიასაც. ვითარება, რომელშიც მედიას წელს საქართველოში უწევდა ოპერირება, სავსე იყო სისტემური ძალადობით ფიზიკურ, სამართლებრივ და ინსტიტუციურ დონეზე, სამოქალაქო სივრცის შევიწროებით, საქმიანობის შემზღუდავი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებით, ჟურნალისტებისთვის მტრული და არაუსაფრთხო პირობების ფორმირებით და ბოლოს, პოლიტიზირებული მართლმსაჯულების განხორციელებით.

უწყვეტი სამოქალაქო პროტესტის დროს, რომელიც გასული წლის 28 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების შეჩერებაზე ირაკლი კობახიძის განცხადების შემდეგ დაიწყო, არაერთი ჟურნალისტი გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, რომელთა უმრავლესობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განხორციელდა, ნაწილი კი სავარაუდოდ მმართველი პოლიტიკური პარტიის მიერ მართული კერძო ძალადობრივი ჯგუფების მიერ იყო ჩადენილი. აღნიშნული საქმეებიდან კი დღემდე არცერთია გამოძიებული.

ქვეყანაში პოლიტიზირებული მართლმსაჯულებისა და მედიის დევნის სიმბოლურ სახედ იქცა ბათუმელებისა და ნეტგაზეთის დამფუძნებელი და დირექტორი მზია ამაღლობელი, რომელიც სამართალდამცავებმა 11 იანვარს ჯერ ადმინისტრაციული, შემდეგ კი სისხლისსამართლებრივი წესით დააკავეს პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით. საბოლოოდ, სასამართლომ პოლიციელზე თავდასხმის ბრალდების მუხლი გადააკვალიფიცირა და მზიას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მზია ამაღლობელის საქმეს უპრეცედენტო გამოხმაურება და კრიტიკა მოჰყვა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ამ პერიოდში მკვეთრად გაუარესდა ჟურნალისტის ჯანმრთელობის მდგომარეობაც. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ აღნიშნულ საქმეზე საჩივრით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. საქმე სასამართლოს განხილვაშია.

სავალალო მდგომარეობა შეიქმნა საზოგადოებრივ მაუწყებელშიც, რომელიც სულ უფრო მეტად იქცა "ქართული ოცნების" პოლიტიკის და პროპაგანდის გამტარ ინსტრუმენტად. საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებისათვის საეთერო დროის დათმობაზე უარის პარალელურად, 11 აპრილს მაუწყებლიდან დისციპლინური მოკვლევის საფუძველზე გაათავისუფლეს ჟურნალისტები - ნინო ზაუტაშვილი და ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი. წარმოების საფუძველი კი მათი კრიტიკული საჯარო განცხადებები, მათ შორის მზია ამაღლობელის მიმართ საჯაროდ გამოხატული სოლიდარობა გახდა. მოხდა კიდევ რამდენიმე თანამშრომლის გათავისუფლება.

ფიზიკურ და პოლიტიკურ დონეზე შევიწროების, პოლიტიზირებული მართლმსაჯულების პარალელურად, ქართული მედიის არსებობისთვის არანაკლებ გამოწვევად იქცა საკანონმდებლო ცვლილებები არაერთი მიმართულებით. "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონით, უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტით (FARA), გრანტების შესახებ კანონში განხორციელებული უმძიმესი ცვლილებებით შექმნილი სამართლებრივი და ინსტიტუციური სივრცე მედიისთვის, ისევე როგორც სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, ეგზისტენციალურ საფრთხედ იქცა, შემდგომში განხორციელებულმა ცვლილებების მომდევნო ტალღამ კი მათი საქმიანობის შინაარსობრივი ნაწილიც დააყენა საფრთხის ქვეშ.

კერძოდ, 2025 წლის 24 თებერვალს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ერთდროულად რამდენიმე საგანგაშო ცვლილების საკანონმდებლო პაკეტი დარეგისტრირდა, რომელიც საბოლოოდ ამავე წლის აპრილში იქნა მიღებული. აღნიშნული ცვლილებებით კიდევ უფრო გაუარესდა მედიის დამოუკიდებლობის ხარისხი და გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტები ქვეყანაში. ცვლილებებით შემოღებულ იქნა მთელი რიგი ბუნდოვანი შინაარსობრივი შეზღუდვები ტელე და რადიო მაუწყებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით. მათ შორის, ფაქტის ჯეროვანი სიზუსტე და პასუხის უფლება, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ფარული მეთოდის გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა, შეიარაღებული

დაპირისპირების, უბედური შემთხვევის და სხვა საგანგებო ვითარების გაშუქება და არასრულწლოვან პირთა დაცვის ცალკეული საკითხები. ამ რეგულირებების დიდი ნაწილი მაუწყებელთა ქცევის კოდექსიდან იქნა აღებული, რომლის აღსრულება მედიის თვითრეგულირების მექანიზმებით ხდებოდა. თუმცა ცვლილებებით, ამ მექანიზმთან ერთად, მაუწყებლობის სტანდარტების დარღვევაზე რეაგირების უფლებამოსილება მიენიჭა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომელმაც რეაგირების სახით შესაძლებელია პასუხისმგებლობის მრავალფეროვანი ზომები - მათ შორის ლიცენზიის გაუქმება გამოიყენოს. ეს იმ ფონზე, როდესაც კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის მიმართ წლებია მნიშვნელოვანი კითხვის ნიშნები არსებობს „ქართული ოცნებისათვის“ სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღების გამო, რომელიც ქვეყანაში კრიტიკული აზრის შეზღუდვისკენ არის მიმართული. ცვლილებებით კანონში ჩაწერილმა არაერთმა ბუნდოვანმა დებულებამ კი კომისიას საქმის განხილვის და გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელოვანი დისკრეცია მიანიჭა.

საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო ტელე და რადიო მაუწყებლების დაფინანსების საკითხსაც და მათ აეკრძალათ უცხოური ძალისგან პირდაპირი ან არაპირდაპირი დაფინანსების მიღება, გამონაკლისად ჩაითვალა კომერციული რეკლამა, ტელეშოპინგი, სპონსორობა და პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსება. ამასთანავე, აიკრძალა უცხოური ძალის მიერ მაუწყებლების მომსახურების შესყიდვა (გარდა კომერციული რეკლამისა და პროდუქტის განთავსებისა) ან/და პროგრამის მომზადების ან/და ეთერში გადაცემის პირდაპირი ან ირიბი დაფინანსება ან თანადაფინანსება.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, ისევე როგორც მედიის საქმიანობის შემზღუდველი მომდევნო საკანონმდებლო ცვლილება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ კანონში შევიდა, რითაც კანონმდებლობის დონეზე განმტკიცდა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა და ცენზურა, რითაც რადიკალურად შემცირდა გამოხატვის თავისუფლებისა და დემოკრატიის დაცვის გარანტიები ქვეყანაში.

კერძოდ, საკანონმდელო ცვლილებებით შეიცვალა ცილისწამების განმარტება და საჭირო აღარ არის პირს ამგვარი განცხადებით ზიანი მიადგეს. გაუქმდა ცილისწამების შემთხვევაში კვალიფიციური პრივილეგია. იმავდროულად, ცილისწამებისას განისაზღვრა მოსარჩელისთვის ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, თუკი შესწორების ან უარყოფის გამოქვეყნება საკმარისი არ არის. ამავდროულად ცილისწამებაზე დავისას მტკიცების ტვირთი შეიცვალა და ის მოპასუხეზე გადავიდა. დამატებით რეგულირებული გახდა არამხოლოდ პირისპირი არამედ ზოგადად საჯარო სივრცეში შეურაცხყოფაც. ბოლოს კი გაუქმდა წყაროს დაცვისა და პროფესიული საიდუმლოების გამხელისგან დაცვის გარანტიები, რომლის თანახმადაც პროფესიული საიდუმლოების ან წყაროს გამხელაზე უარი არ შეიძლება გამხდარიყო მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების ერთადერთი საფუძველი. გამოხატვის თავისუფლებასა და პირად ცხოვრებას შორის (საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას) უპირატესობა პირადი

ცხოვრების დაცვას მიენიჭა. ბოლოს, სასამართლოში ამ საკითხებზე საქმის განხილვის ვადები 1 თვიდან 10 დღემდე შემცირდა.

საკანონმდებლო ცვლილებების მესამე პაკეტი კი რაც მედიის საქმიანობას 2025 წელს შეეხო, სასამართლო პროცესების გაშუქებას უკავშირდება. 30 ივნისს ამოქმედდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებებით, სასამართლოს შენობაში, სასამართლო სხდომის დარბაზში და სასამართლო ეზოში აიკრძალა ფოტო-, კინო- და ვიდეო გადაღება და ტრანსლაცია. აღნიშნულის უფლებამოსილება დარჩა მხოლოდ სასამართლოს ან „სასამართლოს მიერ უფლებამოსილ პირს“. ამგვარი გაშუქების უფლების მინიჭება ხდება ყოველ კონკრეტულ სასამართლო სხდომასთან დაკავშირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. მედიის წარმომადგენელთა მხრიდან საბჭოსთვის არაერთხელ მიმართვის მიუხედავად, ამ უკანასკნელისგან არანაირი ოფიციალური განცხადება ან პასუხი არ გაკეთებულა. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მეთოდებით სასამართლოში მუშაობა და პროცესების გაშუქება მედიისთვის ფორმალურ სამართლებრივ დონეზეც უკვე შეუძლებელი გახდა.

მედიის თავისუფლება დემოკრატიის ფუნდამენტური საყრდენია. ის არა მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის საშუალებაა, არამედ ძალაუფლების სტრუქტურების კონტროლის მექანიზმი. თავისუფალი მედიის შევიწროება და მმართველი პარტიის მიერ საინფორმაციო ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრაცია ყოველთვის ნიშნავს კრიტიკული დისკურსის ჩახშობას და პოლიტიკური თუ ეკონომიკური დომინაციის მოპოვებას. სწორედ თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის არსებობა იძლევა საშუალებას, რომ დომინანტური იდეოლოგიების პარალელურად, არსებობდეს ალტერნატიული დისკურსები და ნარატივები, რომლებიც არსებული ძალაუფლების სისტემებს უწევენ წინააღმდეგობას და ახდენენ საზოგადოებრივი ინტერესებისა და გამოცდილებების არტიკულაციას. შესაბამისად, მედიის შეზღუდვა არა მხოლოდ უფლებების დარღვევაა, არამედ დემოკრატიის სტრუქტურის დესტაბილიზაცია, რაც ანგრევს საჯარო დისკუსიის შესაძლებლობას და ამარტივებს ავტორიტარიზმის დაკანონებას. 2025 წლის განმავლობაში (და არამხოლოდ) დამოუკიდებელ მედიაზე ფიზიკური, სამართლებრივი, ფინანსური, შინაარსობრივი და პოლიტიზირებული მართლმსაჯულების გზით განხორციელებული შეტევა, რომელიც ფუნდამენტურ წინააღმდეგობაშია დემოკრატიულ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, სწორედ ქვეყანაში ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესის ნაწილია და ამ პროცესის გამარტივებისკენ არის მიმართული.

### 1.11. საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის თვალსაზრისით ერთ-ერთი უმძიმესი ცვლილება შეეხო საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა ხმის უფლებას.

კერძოდ, 17 ნოემბერს პარლამენტში დარეგისტრირდა განახლებული საარჩევნო კოდექსის კანონპროექტი, რომლის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მსგავსად, საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემას მოქალაქეები მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შეძლებენ. საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ოფიციალურ მიზეზად "ქართული ოცნების" მიერ ქართველ ემიგრანტებზე „უცხო იურისდიქციის და პოლიტიკური გარემოს გავლენის", "საინფორმაციო მანიპულირების" რისკები დასახელდა, რადგან საზღვარგარეთ "სახელმწიფო ვერ ახორციელებს ჩარევის პრევენციას". აღნიშნულ ინიციატივას უკმაყოფილება მოჰყვა თავად ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეების მხრიდან, რომლებმაც პეტიცია შექმნეს, რითაც საზღვარგარეთ ხმის უფლების სრულფასოვნად შენარჩუნებას ითხოვენ. კანონპროექტი ამ დროისთვის 2 მოსმენით არის მიღებული.

აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ერთ-ერთი უმძიმესი ნაბიჯია საქართველოს დემოკრატიული უკუსვლისა და ქვეყანაში ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესში, რომელიც კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ და დაუსაბუთებლად, მხოლოდ „ქართული ოცნების" კონსპირაციული და ანტიდასავლური პროპაგანდისტული ნარატივების საფუძველზე, ფაქტობრივად, აუქმებს უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების მიერ აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობას. იმის გათვალისწინებით, რომ 2024 წლის არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ" ქვეყნის ფარგლებს გარეთ ისედაც შეზღუდული რაოდენობით გახსნილ უბნებზე სრული მარცხი განიცადა, აშკარაა, რომ ეს ინიციატივა პოლიტიკურ მიზნებს ატარებს და სამომავლო არჩევნებში ოპოზიციურად განწყობილი ამომრჩევლის გამორიცხვას ემსახურება. ამასთან, ეს ინიციატივა უარყოფს ემიგრაციაში მყოფი მოქალაქეების უმნიშვნელოვანეს ჩართულობას საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, ისევე როგორც უგულებელყოფს იმ სირთულეებს, რაც ემიგრანტებს სხვა ქვეყანაში აქვთ მათ სამართლებრივ სტატუსთან, შრომის პირობებთან და ფინანსურ ლიმიტებთან დაკავშირებით, რამდენადაც მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეკონომიკური მოწყვლადობის და არა სხვა იმგვარი მიზეზებით არის ნაკარნახევი, რაც მათ საქართველოსთან პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ ფიზიკურ კავშირს არ ამცირებს.

## 2. სოციალური უფლებების სტაგნაცია ქვეყანაში

### 2.1. სიღარიბე და სოციალურად დაუცველობა ქვეყანაში

მიუხედავად იმისა, რომ "ქართული ოცნება" მუდმივად აპელირებს ეკონომიკური ზრდასა და სიღარიბის შემცირებაზე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მიმდინარე წელსაც მძიმე რჩებოდა, ხოლო ეკონომიკური ზრდა ემიგრანტების გზავნილებით, ტურიზმითა და მეორადი ავტომობილების ექსპორტით მიიღწეოდა და ადამიანებისათვის საკმარის სამუშაო ადგილებს ვერ ქმნიდა.

აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების შემცირების (2024 წლის მდგომარეობით - 9.4%) მიუხედავად, მზარდია მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც საარსებო შემწეობასა და სხვა სოციალურ გასაცემლებზეა დამოკიდებული. 2025 წლის ნოემბრის მონაცემებით, საარსებო შემწეობას 706 552 ადამიანი იღებდა (მოსახლეობის 19.1 %), ხოლო სოციალურად დაუცველთა ბაზაში 1.3 მილიონზე მეტი ადამიანი (მოსახლეობის 35.3 %) იყო რეგისტრირებული. ეს მონაცემები მხოლოდ ნაწილობრივ უთითებს იმ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რასაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა განიცდის.

აღნიშნულის ფონზე, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, 2026 წლიდან აღარ გააგრძელოს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველების დასაქმებასა და მათთვის თვეში მაქსიმუმ 300 ლარის ოდენობით ანაზღაურების გაცემას ითვალისწინებს. 2022-2024 წლებში ამ პროგრამით 40 000-მდე სოციალურად დაუცველმა ისარგებლა. მისი ნათელი და კონკრეტული ალტერნატივა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის.

სიღარიბესა და სოციალურ მოწყვლადობაში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიური რეალობისა და გამოწვევების, ასევე, საქართველოს სოციალური დაცვის პოლიტიკის ჩარჩოსა და შესაბამისი სერვისების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ როგორც საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამის დიზაინი და მისი განხორციელება, ისე მისი შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება არ არის ადამიანის უფლებების პარადიგმასთან თავსებადი. სათანადო და რეალისტური ალტერნატივების გარეშე, პროგრამის შეწყვეტა სოციალურად დაუცველ ადამიანებს დააზიანებს და უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს. ბუნდოვანია, თუ რამდენად გაუგრძელდებათ მათ მინიმალური დახმარება მაინც. ირაკლი კობახიძის განცხადებით, სოციალურ დახმარებას სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ პირებზე მეტი ადამიანი იღებს, რაც, შესაძლოა, იმაზე მიანიშნებდეს, რომ ხელისუფლება საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობის შემცირებას გეგმავს.

### 2.2. ბავშვთა უფლებების უგულებელყოფა

“ქართული ოცნების” პროპაგანდის მიუხედავად, ბავშვების უფლებებისა და საჭიროებების გათვალისწინება მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებას არ წარმოადგენს. არასრულწლოვნების დაცვის საბაბით სახელმწიფო რეპრესიულ კანონებს იღებს, თუმცა, რეალურად არ ზრუნავს ბავშვების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის. ამას ადასტურებს რელევანტური სტატისტიკური მონაცემები, 2025 წელს განვითარებული მოვლენები და პარლამენტის მიერ ინიცირებული რეგულაციები.

2025 წლის ნოემბრის მდგომარეობით, საარსებო შემწეობას 277 599 ბავშვი (2024 წლის ნოემბერთან შედარებით, 6 887 ბავშვით მეტი) იღებდა, რაც ბავშვების საერთო რაოდენობის მესამედია. ამასთან, 379 415 არასრულწლოვანი (2024 წლის ნოემბერთან შედარებით, 12 788

ბავშვით მეტი) სოციალურად დაუცველთა ბაზაშია რეგისტრირებული, რაც ბავშვების რაოდენობის 45 %-ია. სიღარიბეში მცხოვრებ არასრულწლოვნებს ხელი არ მიუწვდებათ ხარისხიან ჯანდაცვაზე, განათლებასა და სოციალურ დაცვაზე და მათი მატერიალური თუ სოციალური დანაკლისის ანაზღაურება შესაძლებელი არ არის თვეში მხოლოდ 200 ლარის შემწეობის უზრუნველყოფით.

სამწუხაროდ, 2025 წლის განმავლობაში, ბავშვების უფლებების დარღვევები მათ გარდაცვალებას უკავშირდებოდა. სიცოცხლის უფლების დაცვის მიმართულებით კომპლექსური ვალდებულებების მიუხედავად, სახელმწიფომ ვერ შეძლო არასრულწლოვნების სათანადო დაცვა და მათი უსაფრთხოების გარანტირება. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს 15 თებერვალს, ქ. ბათუმში, უსახლკაროთა არაფორმალურ დასახლებაში - "ოცნების ქალაქში", ორი ბავშვის გარდაცვალება წარმოადგენს. შემთხვევას რამდენიმე დღით ადრე დასახლების მაცხოვრებლების (582 ოჯახის) ახლადაშენებულ კორპუსებში განსახლება უძღოდა წინ. განსახლებულთა ძველი საცხოვრისების დემონტაჟისას თხრილები არ იქნა ამოვსებული, ხოლო ტერიტორია - შემოსაზღვრული. სწორედ ერთ-ერთ ასეთ თხრილში ჩავარდნენ და დაიღუპნენ ბავშვებიც. "ქართული ოცნების" წარმომადგენლებმა მიუთითეს, რომ შემთხვევა სამშენებლო არეალის მიღმა მოხდა, შესაბამისად, მომხდარზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ არ აიღო. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ტრაგედიიდან რამდენიმე კვირის შემდეგაც კი "ოცნების ქალაქში" უსაფრთხოების საკითხები (მათ შორის, თხრილები, გაუმართავი ელექტროენერგია) კვლავ მწვავედ იდგა და ასობით ადამიანი კვლავ რისკების ქვეშ აგრძელებდა ცხოვრებას.

სახელმწიფომ იგნორირების პოლიტიკა აირჩია მიმდინარე წლის იანვარში მომხდარ ტრაგედიასთან მიმართებითაც, რომლის დროსაც რიყის პარკში ბავშვი თხრილში ჩავარდა და გარდაიცვალა. კახა კალაძემ განაცხადა, რომ შემთხვევა კერძო ტერიტორიაზე მოხდა, შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდა. უსაფრთხოების ზომების დაუცველობისა და ქუჩასა და ლიანდაგებს შორის გამყოფი ზოლის არარსებობის გამო, ტრაგედია მოხდა ბათუმშიც, სადაც ბავშვს სამგზავრო მატარებელი დაეჯახა. შემთხვევის შედეგად მცირეწლოვანი ადგილზე გარდაიცვალა.

უმძიმესი ტრაგედია დატრიალდა გალშიც - სოფელ საბერიოში ხანძარს 5 არასრულწლოვნის სიცოცხლე ემსხვერპლა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის მოწყვლადობა და დაუცველობა, რაც ხალხის, მათ შორის, ბავშვების, სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მყისიერი რისკების წინაშე აყენებს.

იმ გამოწვევების თავიდან აცილების ნაცვლად, რომელთა წინაშეც ბავშვები ყოველდღიურად დგანან, წლის ბოლოს, "ქართული ოცნების" დეპუტატებმა "კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის შესახებ" კანონის პროექტი და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი დააინიცირეს, რაც, თავის მხრივ, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან უკუსვლას წარმოადგენს.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მიემართება ბავშვებს, რომელთა მიმართ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დასტურდება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა 14 წელს მიღწევამდე.

ცვლილებების პაკეტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხს ბავშვების რეაბილიტაციისა და მხარდაჭერის სახლში გადაყვანა წარმოადგენს. სახლში განთავსებასთან დაკავშირებული რეგულაციები ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, 10 წლიდან არასრულწლოვნებზე აწესებს პასუხისმგებლობას - გაურკვეველი ვადებით ახდენს მათ იზოლირებას, არ აძლევს დაწესებულების თვითნებურად დატოვებისა და თემში განათლების მიღების შესაძლებლობას. საერთაშორისო კვლევების თანახმად, თავისუფლების შეზღუდვა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბავშვთა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, მათ განვითარებასა და სამომავლო ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, "ქართული ოცნება" უხეშად უგულებელყოფს ბავშვების საჭიროებებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრინციპებსა და საერთაშორისო სტანდარტებს და თავისი გადაწყვეტილებით აზიანებს იმ ბავშვებს, რომელთაც სხვადასხვა სისტემური ფაქტორების, მათ შორის, სიღარიბისა თუ ოჯახური ტრავმების გამო, ფორმალურად მართლსაწინააღმდეგო ქმედებები ჩაიდინეს. ამჟამად კანონპროექტი პარლამენტში მეორე მოსმენის პროცედურებს გადის.

### 2.3. შშმ პირთა უფლებები ავტორიტარიზმის კვალდაკვალ

წინა წლების მსგავსად, 2025 წელსაც შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდებოდა. საქართველომ ამ დრომდე ვერ შეძლო, სისტემა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შესაბამისად გარდაექმნა. ათასობით ადამიანს არ მიუწვდება ხელი დასაქმებაზე, ხარისხიან ჯანდაცვაზე, განათლებაზე, სოციალური მხარდაჭერის მექანიზმებზე, რაც მათ დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას ართმევს ან მნიშვნელოვნად უზღუდავს.

2025 წელს შშმ თემისთვის მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო. კერძოდ, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, მუნიციპალიტეტებში პერსონალური ასისტენტის სერვისი უნდა ამოქმედებულიყო. თუმცა, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, აგვისტოს მდგომარეობით, არაერთ მათგანში (მაგალითად, ზუგდიდის, ასპინძის, ახალციხის, ვანის, თერჯოლის, თიანეთის, მცხეთის, ონის მუნიციპალიტეტები) სერვისი არ ამოქმედებულა, ან შშმ პირთა მხოლოდ მცირე რაოდენობა მოიცვა (მაგალითად, გარდაბნის მუნიციპალიტეტი - 1 შშმ პირი, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტები - 5 შშმ პირი, თელავის მუნიციპალიტეტი - 6 შშმ პირი, დმანისისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტები - 12 შშმ პირი, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 29 შშმ პირი). მდგომარეობის უცვლელად დატოვების

შემთხვევაში, არსებობს რისკი, რომ ქვეყნის მასშტაბით პროგრამა ვერ განხორციელდეს და შშმ თემს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს.

2025 წელს გამოწვევას წარმოადგენდა ინკლუზიური განათლების პოლიტიკის განხორციელებაც. თემის მონაწილეობისა და ჩართულობის გარეშე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინკლუზიური განათლების სამმართველო გაუქმა, რომელსაც ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის კოორდინირების ფუნქცია ჰქონდა. ბუნდოვანია, თუ როგორ მოხდება იმ მცირე წინსვლის შენარჩუნება, რაც ამ სფეროში არსებობდა.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს შშმ თემსა და ორგანიზაციებზე ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის მძიმე ზეგავლენის შესახებ. "ქართული ოცნების" მტკიცების მიუხედავად, სამოქალაქო საზოგადოების შემზღუდავ კანონმდებლობას შშმ პირთა წარმომადგენლობით ორგანიზაციებსა და მათ სიცოცხლისუნარიანობაზე უარყოფითი ეფექტი ჰქონდა. საკანონმდებლო ცვლილებებმა აღნიშნული ორგანიზაციები და თემის უფლებებზე მომუშავე აქტორები უცხო ქვეყნის "აგენტებად" და "მათი ინტერესების გამტარებლად" მონიშნა. "უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტით" გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა და "გრანტების შესახებ" კანონში შესული ცვლილებების გათვალისწინებით, დამოუკიდებელი ორგანიზაციები ფუნქციონირების შეწყვეტის რეალური რისკის წინაშე დგებიან, ზოგიერთმა მათგანმა კი ფუნქციონირება უკვე შეწყვიტა.

შშმ პირები და მათ უფლებებზე მომუშავე აქტივისტები პროტესტში ჩართულნი არიან და აქტიურად აკრიტიკებენ "ქართული ოცნების" პოლიტიკას. საპასუხოდ, ისინი თავდასხმის და რეპრესიების მსხვერპლნი ხდებიან. აღნიშნულის მაგალითს წარმოადგენს შშმ პირთა უფლებების აქტივისტის - გია ჯვარშეიშვილის, რამდენიმე დაკავება, ათიათასობით ლარის ოდენობის ჯარიმა და მის მიმართ ძალადობა და არასათანადო მოპყრობა. შშმ ბავშვის დედა და ადამიანის უფლებათა აქტივისტი - ნინო კალანდია, პროტესტში მონაწილეობისათვის (ფორმალურად, გზის გადაკეტვის საფუძველზე) ასევე ათიათასობით ლარითაა დაჯარიმებული.

განსაკუთრებულად მძიმეა ევა შაშიაშვილის შემთხვევა, რომელიც 4 ოქტომბრის საპროტესტო აქციის საქმეზე დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. იგი ონკოპაციენტია, ხოლო მისი შვილი - შშმ პირია, რომლისთვისაც ევა ერთადერთი მხარდამჭერია. დედის პატიმრობისა და ალტერნატიული მხარდაჭერის არარსებობის გამო, იგი იძულებით რჩება სამედიცინო დაწესებულებაში, რაც, თავის მხრივ, შშმ პირთა უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

მიმდინარე წელს ასევე განსაკუთრებულად პრობლემური იყო "ქართული ოცნების" წარმომადგენლებისა და მისი მხარდამჭერების მიერ ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტრუმენტალიზება და თავდასხმის იარაღად გამოყენება. ამგვარი მეთოდები გამოყენებულ

იქნა აქტივისტ ანუკი ჩრდილელის მიმართ, ხოლო ყველაზე მძიმედ ნინო დათაშვილთან მიმართებით წარმოჩნდა.

### 2.4. სათანადო საცხოვრებლის უფლების სისტემური დარღვევები

წინა წლების მსგავსად, სათანადო საცხოვრებლის უფლება და უსახლკარო ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა არც წელს ყოფილა სახელმწიფოს პრიორიტეტი. ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს პოლიტიკის დოკუმენტები, მინიმალური საკანონმდებლო ჩარჩო თუ ღირსეული სერვისები, რომელიც საცხოვრისის საჭიროების მქონე არაერთ ჯგუფს მხარდაჭერას გაუწევდა.

მიმდინარე წელს, სათანადო საცხოვრებლის უფლების სისტემურმა დარღვევებმა საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა, თუ როგორი მნიშვნელოვანია ღირსეულ, მხარდამჭერ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრება. ერთ-ერთ ასეთ პრობლემას ავარიული სახლების არსებობა წარმოადგენს, განსაკუთრებით მსხვილ ქალაქებში. 2025 წლის ზაფხულში, "სადგურის მოედნის" მიმდებარე ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლის სახურავის ნგრევას 2 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტისთვის ცნობილი იყო სახლის ავარიულობის შესახებ, მის მიერ ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად მყისიერი ღონისძიებები მიღებული არ ყოფილა. განსაკუთრებულად შემაშფოთებელია სახლების ავარიულობის მასშტაბი, რაც ადგილობრივ მაცხოვრებლებს მყისიერი რისკების წინაშე აყენებს - კახა კალაძის განცხადებით, 2025 წლის მარტის მდგომარეობით, თბილისის ტერიტორიაზე 10 000-მდე ავარიული შენობა-ნაგებობა იყო იდენტიფიცირებული.

უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელობა მწვავედ ზამთარში, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დიდთოვლობისასაც წარმოჩნდა. მიუხედავად პოზიტიური ვალდებულებისა, გაეტარებინა მყისიერი ზომები გურიის, აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში მძიმე მდგომარეობაში დარჩენილი, გარესამყაროს მოწყვეტილი მოსახლეობის დასაცავად, შესაბამისი პრევენციული და დროული რეაგირებითი ღონისძიებები სახელმწიფომ არ მიიღო.

სათანადო საცხოვრებლის უფლების დარღვევის ფაქტები ასევე თვალსაჩინო იყო იძულებითი გამოსახლებისა და საცხოვრისების დემონტაჟის დროს. ივლისში, თვალჭრელიძის ქუჩაზე, ოჯახები უპრეცედენტო ძალის გამოყენებით გამოასახლეს და ხანდაზმულები, ბავშვები, ქალები, ქუჩაში დატოვეს. მიუხედავად მწვავე საჭიროებისა, სახელმწიფომ მათი უმეტესობის განსახლებაზე უარი განაცხადა - საჭიროების მქონე ადამიანების საცხოვრისით უზრუნველყოფა არ მომხდარა. ამ დრომდე, შინამეურნეობების ნაწილი უკიდურესად მძიმე პირობებში რჩება. გამოწვევაა ისიც, რომ ამგვარი გამოსახლების რისკის წინაშე, მხოლოდ თბილისში, ათეულობით ოჯახი დგას. არანაკლებ მწვავე და პრობლემური იყო თბილისის

მერიის მიერ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიასა და აფრიკის დასახლებაში თვითნებურად აშენებული თავშესაფრების ნგრევა. სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ დემონტაჟი იანვრისა და ნოემბრის თვეებში განხორციელდა, რამაც უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. სამწუხაროდ, ამ დრომდე თვითგადარჩენის ღონისძიებები მკაცრად - დემონტაჟითა და ჯარიმებით, ისჯება, ხოლო განაშენიანება მთლიანად ბიზნეს და პოლიტიკური ელიტების პრეფერენციის მიხედვით ხდება.

საცხოვრისთან დაკავშირებული კიდევ ერთ უმწვავესი პრობლემა დევნილთა განსახლებაა. კონფლიქტებიდან არაერთი წლის გასვლის შემდეგაც, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დევნილთა მნიშვნელოვანი ნაწილის ღირსეული საცხოვრისით უზრუნველყოფა. ადამიანები 30 წელზე მეტი ხანია, მოლოდინის რეჟიმში იმყოფებიან. ცალკეულ შემთხვევებში კი სახელმწიფოს მიერ მათი იგნორირება ტრაგედიითაც სრულდება. ამგვარ მაგალითს 2025 წლის იანვარში, ზამირ კვეკვესკირის მიერ დევნილთა სააგენტოსთან თავის დაწვა წარმოადგენს. მიუხედავად ამ შემთხვევებისა, უახლოეს წლებში დევნილთა სრული განსახლება, დიდი ალბათობით, ვერ მოხდება.

### 2.5. განათლების დაანონსებული რეფორმა

"ქართულმა ოცნებამ" თავისი რეპრესიული პოლიტიკის შემდგომ სამიზნედ განათლების სისტემა აირჩია. დაანონსებული ცვლილებები შეეხება როგორც ზოგადი, ისე უმაღლესი განათლების სისტემას. დეკემბერში, ირაკლი კობახიძემ და გივი მიქანაძემ ზოგადი განათლების რეფორმის კონცეფცია საჯაროდ წარადგინეს. კონცეფცია არაერთ ცვლილებას ითვალისწინებს. მათ შორისაა, თორმეტწლიანი სავალდებულო სწავლების გაუქმება და სასკოლო სახელმძღვანელოების ცვლილება. ერთ-ერთი ყველაზე ბევრი კითხვის ნიშანი სახელმძღვანელოებთან მიმართებით არსებობს. მიქანაძის თქმით, მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში ყველა სკოლაში ერთსა და იმავე სახელმძღვანელოს შემოიღებენ, ხოლო მათ შინაარსს სამინისტრო განსაზღვრავს. კიდევ ერთ საკითხს საპატრიარქოსა და ძალოვანი სტრუქტურების მონაწილეობის გზით არაფორმალური სწავლების გაძლიერება წარმოადგენს. ზოგადი განათლების რეფორმა, ერთი შეხედვით, მკაცრად იდეოლოგიზებულ სწავლა-სწავლების პროცესს დაეფუძნება და მიზნად ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულების ჩახშობას დაისახავს.

პარალელურად მიმდინარეობს ცვლილებები უმაღლესი განათლების სისტემაშიც. რეფორმის ხედვა ირაკლი კობახიძემ მიმდინარე წლის ოქტომბერში წარადგინა, ხოლო ამჟამად საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს პარლამენტი იხილავს. კონცეფცია ითვალისწინებს "ტრადიციული პროფილისა და ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით" სახელმწიფო უნივერსიტეტებში მოქმედი ფაკულტეტების კონკრეტულ უნივერსიტეტებზე გადანაწილებას, მთავრობის მიერ პროგრამებზე კვოტების განსაზღვრას, ასევე, პროფესორ-მასწავლებლების კორპუსში ცვლილებებს. დაანონსებული რეფორმით ასევე

გათვალისწინებულია პრინციპი, "ერთი ქალაქი - ერთი ფაკულტეტი", რომელიც ფაკულტეტების სხვადასხვა ქალაქებში გადანაწილებას გულისხმობს. კონცეფციის მიხედვით, სრულად გადაისინჯება უნივერსიტეტების დაფინანსების სისტემაც - სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლა უფასო გახდება, ხოლო კერძო უნივერსიტეტებისათვის სახელმწიფო გრანტი გათვალისწინებული აღარ იქნება.

დაგეგმილი ცვლილებები, თავისი შინაარსით, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიას განამტკიცებს, უთითებს კრიტიკულად განწყობილი უნივერსიტეტების წინააღმდეგ ანგარიშსწორებისა და დამოუკიდებელი პროფესორ-მასწავლებლებისგან დაწესებულებების წმენდის მიზანზე, და ქმნის არაერთი მსურველისათვის უმაღლესი განათლების მიღმა დარჩენის რისკებს. იქიდან გამომდინარე, რომ დასაქმების შესაძლებლობები ძირითადად თბილისსა და ბათუმშია, სხვადასხვა ქალაქებში გადანაწილება შექმნის იმის რისკებსაც, რომ სტუდენტები თუნდაც მძიმე და დაბალანაზღაურებად სამუშაოზე ვერ დასაქმდებიან, რაც მათი მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებისა და გადარჩენის შესაძლებლობას მისცემდა.

### 2.6. შრომითი უფლებების რეალიზაცია

შრომითი უფლებების განხორციელების კუთხით არსებული მდგომარეობა არ შეესაბამება ამ სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს. წინა წლების მსგავსად, შრომითი უფლებების დარღვევა მრავალი მიმართულებით ხდებოდა, მათ შორისაა, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევა და მშრომელთა გარდაცვალება თუ დაზიანება, დაბალი ანაზღაურება, თუ სხვა. მიმდინარე წელს, სამსახურიდან მასობრივი უკანონო გათავისუფლება ხელისუფლების მიერ დასჯის იარაღადაც იქნა გამოყენებული და არაერთ ადამიანს შეეხო.

**სამუშაო ადგილებზე გარდაცვალება და დაშავება** მიმდინარე წელსაც ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენდა. მედიაში პერიოდულად ვრცელდებოდა ინფორმაცია სხვადასხვა რეგიონში მშრომელების გარდაცვალების შესახებ. ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიხედვით, მომეტებული რისკების ქვეშ მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანები იმყოფებიან. ერთ-ერთ უკანასკნელ შემთხვევას ქვეშეთი-კობის გზის მშენებლობისას ოთხი მუშის გარდაცვალება წარმოადგენდა. ეს შემთხვევები კიდევ ერთხელ უთითებს იმაზე, რომ შრომის ინსპექციისა და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმალური არსებობის მიუხედავად, შრომის უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა არასაკმარისი და არაეფექტიანია.

შრომის უფლებების დარღვევებზე ხმამაღლა საუბრობდნენ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობი საამქროს თანამშრომლები, რომლებიც მძიმე და საშიშპირობებიან სამუშაოს ასრულებენ. დაახლოებით 300 ადამიანი მათი უფლებების დაცვას, ხელფასების ზრდას, გაუქმებული შტატების აღდგენას, გათავისუფლებული თანამშრომლების აღდგენას,

პროტესტში მონაწილეებზე ზეწოლის შეწყვეტასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდა.

მშრომელთა კიდევ ერთი პროტესტი "ევოლუშენ ჯორჯიაში" დასაქმებულთა უფლებების მასობრივ დარღვევებს უკავშირდებოდა. 2024 წლის ივლისში, კომპანიის ასობით თანამშრომელი გაიფიცა და ხმამაღლა საუბრობდა ისეთ დარღვევებზე, როგორიცაა, მაგალითად, საფრთხის შემცველი და არაჯანსაღი სამუშაო გარემო, უსამართლო ანაზღაურება, არასაკმარისი დრო დასვენებისათვის და სხვა. ამ და სხვა უფლებადარღვევებთან დაკავშირებით, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შვედეთის ეროვნულ საკონტაქტო უწყებას საჩივარი წარუდგინა. მიმდინარე წლის ივლისში, უწყებამ დასკვნითი შეფასება გამოაქვეყნა და კომპანიას რეკომენდაციები მისცა მშრომელების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გარანტირების, ღირსეული ანაზღაურებისა და დასაქმებულებთან მუდმივი დიალოგის წარმოებასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა დოკუმენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა იმ უმძიმესი პირობების არსებობა, რომლის წინაშეც მშრომელები იდგნენ.

### *2.6.1. ჭიათურის კრიზისი*

მიმდინარე წელს, შრომითი უფლებების მასობრივ დარღვევას ადგილი ჰქონდა **ჭიათურაში**, რის გამოც, მთლიანი მუნიციპალიტეტი ჰუმანიტარული კატასტროფის რისკის წინაშე დადგა. წლის დასაწყისში, მაღაროელები აქციებს მართავდნენ და ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვდნენ. პროტესტი ხელფასის ჩარიცხვის დაგვიანებას ეხებოდა. ამავე პერიოდში (2024 წლის 31 ოქტომბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე), "ჯორჯიან მანგანეზი" სპეციალურ რეჟიმზე იმყოფებოდა და მაღაროების მუშაობა შეჩერებული ჰქონდა. 1 მარტიდან მუშაობის გაგრძელების ნაცვლად, კომპანიამ განაცხადა, რომ მანგანუმის მიწისქვეშა წესით მოპოვებას აღარ გააგრძელებდა. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ შემოსავლის გარეშე დატოვა და შიმშილის რისკის წინაშე დააყენა 3 500-მდე ადამიანი და მათი ოჯახის წევრები. მათი ნაწილი უთითებდა, რომ მარტამდე გათვალისწინებული ხელფასიც (სრული ხელფასის 60%) კი არ მიუღია, რაც, თავის მხრივ, შრომითი უფლებების უხეშ დარღვევას წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ მათ ნაწილს საბანკო ვალდებულებები და კრედიტების გადაუხდელობისგან გამოწვეული ჯარიმები კატასტროფულ ტვირთად აწვებოდა. მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, ადგილობრივების მხარდაჭერისა და დაცვისათვის სახელმწიფოს ეფექტიანი ღონისძიებები არ გაუტარებია. მეტიც, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომაზე ჭიათურელი მაღაროელების მონაწილეობა უზრუნველყოფილი არ ყოფილა.

აპრილში ჭიათურაში სამთო წარმოების განახლებისა და რეორგანიზაციის პროცესს სათავეში "ქართულ ოცნებასთან" დაახლოებული მიხეილ სოცკი ჩაუდგა. რეორგანიზაციის შედეგად,

მაისში, მასობრივ პროტესტში მონაწილე დაახლოებით 1200 მაღაროელი "ჯორჯიან მანგანეზმა" საბოლოოდ დათხოვნილ თანამშრომლებად გამოაცხადა. მაღაროელების ნაწილმა გადაწყვიტა, სასამართლოში იდავოს გათავისუფლების კანონიერებასა და რეორგანიზაციის პროცესზე. მათ სამართლებრივ დახმარებას სოციალური სამართლიანობის ცენტრი უწევს.

სისტემური ჩაგვრის, ეკონომიკური გაჭირვების, უგულებელყოფისა და გაურკვევლობის პირობებში წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, მიმდინარე წლის აპრილში ოთხი მოშიმშილე მაღაროელი დააკავეს. მათ 4-დან 6 წლამდე და 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. მშრომელების წინააღმდეგობის ლიდერების დაკავებას მოსახლეობის მწვავე პროტესტი მოჰყვა - თანამებრძოლების გათავისუფლების მოთხოვნით მაღაროელებმა შიმშილობაც გამოაცხადეს, ხოლო ერთ-ერთმა მაღაროელმა - მირზა ლოლაძემ, პირი ამოიკერა. ამ ეტაპზე ოთხივე მაღაროელს აღკვეთის სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ გამოუტანია.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, უკვე წლებია კომპანია "ჯორჯიან მანგანეზს" სახელმწიფოს მიერ დანიშნული სპეციალური მმართველი მართავს, რომელსაც კომპანიის საქმიანობის განკარგვის ერთპიროვნული უფლებამოსილება აქვს. შესაბამისად, ჭიათურაში შექმნილ უმძიმეს შრომით, სოციალურ და გარემოსდაცვით კრიზისზე პირდაპირი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება.

### *2.6.2. მშრომელთა დევნა ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პირობებში*

სამსახურიდან გათავისუფლება, როგორც პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, აქტიურად იყო გამოყენებული **საჯარო მოხელეებისა და სხვადასხვა სფეროში დასაქმებულების წინააღმდეგ**. ჯერ 2025 წლის დასაწყისში "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონში, ხოლო ოქტომბერში "კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" კანონში ცვლილებებმა მნიშვნელოვნად დაასუსტა საჯარო მოხელეების უფლებრივი გარანტიები, ხოლო საჯარო სამსახურის ბიუროს გაუქმებამ საჯარო სამსახურში პოლიტიკური კონტროლი გაამყარა.

უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, განსხვავებული აზრის საფუძველზე - საპროტესტო აქციაში მონაწილეობისა თუ ევროინტეგრაციის მხარდამჭერ განცხადებაზე ხელმოწერის გამო, საჯარო სექტორიდან ასობით ადამიანი გათავისუფლდა. საჯარო მოხელეთა დამოუკიდებელი პროფკავშირი - "კონსტიტუციის 78-ე მუხლი", ვარაუდობს, რომ ამ პერიოდში თანამდებობიდან 800-დან 1200-მდე საჯარო მოხელე გათავისუფლდა. გათავისუფლებების ნაწილი შესაძლებელი გახდა სწორედ რეგრესული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, რაც საშუალო რგოლის მენეჯმენტის კადრების გათავისუფლების გამარტივებასაც გულისხმობდა. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ერთი თვით ადრე შეტყობინების საფუძველზე, საჯარო სამსახურიდან არა ერთი მოხელე გაათავისუფლეს.

ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდნენ და სამსახურიდან გათავისუფლდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლებიც, მათ შორის, ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი და "რეალური სივრცის თანამშრომლები", ასევე, დავით დოიაშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტების პერსონალი, სკოლის მასწავლებლები და სხვადასხვა სფეროში დასაქმებული პირები.

ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პირობებში, ხელისუფლებამ დამოუკიდებელი პროფკავშირების დევნაც დაიწყო. აღნიშნულის გამოხატულებაა, 24 აპრილს, დამოუკიდებელი პროფკავშირის - "ლაბორი", ოფისის ჩხრეკა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მუხლების (მუხლი 182 - მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი დიდი ოდენობით; მუხლი 362 - დოკუმენტის გაყალბება) საფუძველზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარდა. ჩხრეკა არ ემყარებოდა სათანადო მტკიცებულებებს და მას პროფესიული გაერთიანებების საზოგადოებრივი პროცესებიდან ჩამოშორების ინტერესი ჰქონდა.

## 2.7. გარემოსდაცვითი უფლებები და გარემოსდამცველების დევნის პრაქტიკა

2025 წელსაც „ქართული ოცნების" ხელისუფლება აგრძელებდა გარემოსდაცვითი უფლებების შეზღუდვას და გარემოსდამცველების დევნას. ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კვლავ გამორიცხულია მათ საცხოვრებელ გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან, ხოლო წინააღმდეგობის წარმოშობის შემდეგ, ხელისუფლება მის ჩახშობას რეპრესიული მეთოდებით ცდილობს.

2025 წელს ახალი პროტესტის კერა უკავშირდებოდა ვანის მუნიციპალიტეტში სულორი ჰესის მშენებლობის საკითხს, რომელზეც კომპანიასთან ხელშეკრულება გაფორმდა და კვლევითი სამუშაოები ისე დაიწყო, რომ ადგილობრივებისთვის დაგეგმილი პროექტის შესახებ არავის შეუტყობინებია. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ელექტროსადგური სუს-ის ყოფილი უფროსის, გრიგოლ ლილუაშვილის ნათესავს, ბიჭიკო პაიკიძეს ეკუთვნოდა. მოგვიანებით, ასევე, მედიის ცნობით, ჰესის მშენებლობაზე გაფორმებული ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო პაიკიძეს დაუსწრებლად შეეფარდა კორუფციული ბრალდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები ბალდის კანიონის კერძო ინვესტორისთვის გადაცემას უკვე წლებია აპროტესტებენ. ბალდის კანიონის დასაცავად შექმნილი მოძრაობა დაცული ტერიტორიების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების სახელმწიფოსა და კერძო კომპანიას შორის დადებული იჯარის ხელშეკრულების გაუქმებას ითხოვენ. სოფლისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე კანიონის განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება ადგილობრივების მონაწილეობის გარეშე, მათი ინტერესების სრული უგულებელყოფით იქნა მიღებული. პროტესტის მიმდინარეობისას, ადგილობრივი მოსახლეობა კომპანიის წარმომადგენლებისგან და კომპანიასთან დაკავშირებული პირებისგან დევნის, შეურაცხყოფის და ცილისწამების მსხვერპლი არა ერთხელ გამხდარან. ბალდელები ბოლო დღეების განმავლობაში ისევ აქტიურად ითხოვენ კომპანიასა და დაცული ტერიტორიების

სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტას და ღამეებს კარავში ათევენ. ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ ხელშეკრულება 2022 წლის 29 ნოემბერს დაიდო და კომპანიამ იკისრა ვალდებულება, 3 წლის ვადაში, ე.ი. 2025 წლის 29 ნოემბრამდე დაესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა. ხელშეკრულების ვადის გასვლის მიუხედავად, შესაბამისი უწყებები არ რეაგირებენ კომპანიის მხრიდან შეთანხმების შეუსრულებლობის ფაქტზე და არც ადგილობრივებს ატყობინებენ, რა ბედი ეწევა ბალდის კანიონის დაცულ ტერიტორიას.

2025 წლის 9 დეკემბერს, სენაკის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, ლევან ნუცუბიძემ, გაამართლა ბალდის მოძრაობის წევრი, ინდიკო ბჟალავა. ინდიკო 2024 წლის 12 ივნისს დააკავეს. მას პოლიცია ბალდის კანიონის ინვესტორ კომპანიასთან დაკავშირებული პირის მეუღლის მიმართ მუქარას ედავებოდა. დაკავების შემდეგ, ინდიკო ბჟალავას სენაკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც საქმეზე შეგროვდა შესაბამისი მტკიცებულებები და დაიწყო საქმის არსებითი განხილვა, მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გირაოთი შეიცვალა და ამ დრომდე 10 000 ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული. საქმეში არსებული გარემოებებით და დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით ცალსახად დადასტურდა, რომ ინდიკო ბჟალავას ხსენებული დანაშაული არ ჩაუდენია. საქმის არსებითი განხილვისას შემთხვევის თვითმხილველმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ ინდიკო ბჟალავა არავის დამუქრებია.

ამ დრომდე პატიმრობაში რჩებიან ჭიათურაში დაკავებული გიორგი ნეფარიძე, მერაბ სარალიძე, არჩილ ჭუმბურიძე და თენგიზ გველესიანი. მათი დაკავება უკავშირდება 2025 წლის 28 აპრილს, ჭიათურის პროტესტის მონაწილეებსა და შუქრუთის მაღაროს დირექტორს შორის მომხდარ ინციდენტს. 2025 წლის 1 მაისს, ოთხივე დაკავებულს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა იმ საფუძვლით, რომ სახეზე იყო ბრალდებულების მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, მიუხედავად დაცვის მხარის შუამდგომლობისა, რომ გირაოს გამოყენება სრულად უზრუნველყოფდა ბრალდებულთა მხრიდან სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის პრევენციას. აღსანიშნავია, რომ მოცემულ საქმეზე გამოძიება თავდაპირველად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის, ჯგუფურად, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლით დაიწყო, თუმცა 2025 წლის 30 აპრილს მერაბ სარალიძეს და გიორგი ნეფარიძეს ბრალი სისხლის სამართლის 225-ე მუხლით დაუმძიმდათ, რაც ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას გულისხმობს და 6-დან 9 წლამდე პატიმრობით ისჯება (პროტესტის მიზეზებსა და წინაპირობების შესახებ ვრცლად იხილეთ ჭიათურის კრიზისის ქვეთავში).

## 3. თანასწორობასთან დაკავშირებული უფლებრივი მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება

ანტიდემოკრატიული და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო დინამიკა, რომელიც მკვეთრად გაუარესდა 2024 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ქვეყანაში თანასწორობის მდგომარეობის მხრივაც უკიდურესად ნეგატიური გავლენის აღმოჩნდა. ავტოკრატიული რეჟიმისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კურსი ქართული ოცნების ხელისუფლების რეჟიმის პირობებშიც არ აღმოჩნდა განსხვავებული და მან პირველ რიგში ერთ-ერთი ყველაზე მარგინალური ჯგუფის უფლებრივ მდგომარეობას მიაყენა დარტყმა.

კანონის გაუქმება მოითხოვა ვენეციის კომისიამ მთელი რიგი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. კერძოდ, კანონი არღვევს პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას, ვინაიდან გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია, და დაცულია ადამიანის უფლებათა კონვენციის მერვე მუხლით. კანონი უხეშად არღვევს გამოხატვის თავისუფლებას და აწესებს ცენზურას, ფაქტობრივად, კრძალავს ლგბტქი+ თემთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელებას და რაც ყველაზე საგანგაშოა, აკრძალვა შეეხება აქტივისტურ, შემოქმედებით და სამეცნიერო და აკადემიურ საქმიანობასაც. კანონით ასევე იზღუდება შეკრების თავისუფლება, რომელიც ისედაც უკიდურესად შეიზღუდა არაერთი სამართლებრივი ცვლილების თუ მიმდინარე პრაქტიკის ფონზე, მაგრამ კიდევ უფრო მიუწვდომელი უფლებრივი სიკეთეა ლგბტქ+ ადამიანებისთვის.

ლგბტქ+ ადამიანების უფლებების დაცვის მიმართულებით არსებულმა მდგომარეობამ 2024 წლის ბოლოს უკიდურესად დრამატული სურათი მიიღო. "ქართული ოცნების" ხელისუფლებამ 2024 წლის 2 დეკემბერიდან აამოქმედა ფაშისტური, ანტი-ლგბტ კანონი "ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის" სახელით. კანონი სრულად ძირს უთხრის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს, ღირსების და თანასწორობის დაცვის იდეას, აუქმებს ამ ჯგუფის უფლებებს საკანონმდებლო დონეზე და ინსტიტიციურ დონეზე ამყარებს ლგბტქ(+) ადამიანების ჩაგვრას. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება წლების განმავლობაში იწყნარებდა ლგბტქ ადამიანების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას და სიძულვილის ენას, არ პასუხობდა ჰომოფობიური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებს და ადამიანის უფლებათა ეროვნული სამოქმედო გეგმიდანაც გააქრო ამ ჯგუფთან დაკავშირებული სპეციალური თავიც, საბოლოოდ საკანონმდებლო დონეზე გააფორმა ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის დევნა და უფლებრივი უგულებელყოფა. კანონი მისი შინაარსიდან გამომდინარე არ პასუხობს იმ სოციალურ და ეკონომიკურ სისტემურ გამოწვევებს რაც საქართველოში ოჯახებს უდგათ გაჭიანურებული სიღარიბის, ეკონომიკური უთანასწორობის, მზარდი მიგრაციის და ოჯახის მოშლილი სტრუქტურის სახით, და ლგბტქ+ ადამიანების გარიყვას და უფლებების აყრას განსაზღვრავს ქართული ოჯახის და არასრულწლოვნების დაცვის მთავარ ამოცანად.

2025 წლის მარტში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა, რომელიც ზედამხედველობს საქართველოს წინააღმდეგ იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს, ხელისუფლებას მოუწოდა რომ დაუყოვნებლივ გააუქმოს ანტი-ლგბტ კანონი. აღსანიშნავია, რომ საქმეების ეს ჯგუფი აერთიანებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც უკავშირდება წლების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ ლგბტ(ქ)ი ადამიანების არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, ასევე შეკრებების თავისუფლებისა და თანასწორობის უფლების დარღვევას, ასევე კერძო პირების მხრიდან თემის წევრებზე ძალადობის საქმეების აშკარად არაეფექტიან გამოძიებას. გარდა იმისა, რომ კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას მოსთხოვა სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების დროული აღსრულება, ზოგადი ღონისძიების სახით მან ასევე მოითხოვა კანონის გაუქმებაც, რომელიც გადაწყვეტილებების აღსრულებას უშლის ხელს. კომიტეტმა ასევე მკაცრად გააკრიტიკა უმაღლესი თანამდებობის პირების რიტორიკით სიძულვილის ენის, დისკრიმინაციის და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წახალისება.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის და ინტეგრაციის მიმართულებით 2025 წელიც, სხვა წინა წლების მსგავსად არ გამოირჩეოდა პოზიტიური დინამიკით, ხელისუფლებას არ გადაუდგამს არც ერთი ნაბიჯი უმცირესობების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის გასაუმჯობესებლად, არც მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის თუ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გასაძლიერებლად. ყველა ამ მიმართულებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაციები გასცა უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენციის ფარგლებში თუმცა ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები წინსვლის ნაცვლად უკუმიმართულებით სვლას უფრო აჩვენეს. მეტიც, 2025 წლის თებერვალში ხელისუფლებამ მიიღო კანონი რომელიც ფორმალურ დონეზეც კი აუქმებს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, და მათ შორის გაუქმდა მუნიციპალური საბჭოებიც, რომელიც უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მონაწილეობითი პროცესის ერთ-ერთი საშუალება იყო.

გარდა ამისა, 2025 წელს გამოვლიდან ეთნიკური მოტივით შეუწყნარებლობის და ძალადობის რამდენიმე შემთხვევა, რომელიც კიდევ ერთხელ მიუთითებს ინტეგრაციის ჩავარდნილ პოლიტიკაზე და ამ მხრივ არსებულ სისტემურ გამოწვევებზე. ძალადობის შემთხვევები უკავშირდებოდა მოქალაქეებს შორის ქართული ენის არცოდნის გამო დაწყებულ კონფლიქტს, ერთ-ერთ ასეთი ძალადობის საქმეში კი მარნეულის საკრებულოს თავმჯდომარი მოადგილის შვილი და ამავე მუნიციპალიტეტის თანამშრომელი ფიგურირებდნენ.

2025 წელს ასევე დამძიმდა უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საართველოში, არაერთი საკანონმდებლო ცვლილებით გამარტივდა უცხოელთა ქვეყნიდან გაძევების

პროცესი, ასევე საქართველოში შემოსვლის აკრძალვა, გამკაცრდა თავშესაფრის ძიებასთან დაკავშირებული პროცედურები და სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ახალი სასჯელები, უცხოელის საქართველოდან გაძევება და განსაზღვრული ვადით საქართველოში შემოსვლის აკრძალვა. ცვლილებები მნიშვნელოვნად აზიანებს საქართველოში ჯერ კიდევ მყოფი აქტივისტების ყოფას, მათ შორის მათი ვინც რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ავტორიტარულ რეჟიმებს გამოექცნენ. თუკი ისინი გაბედავენ გამოხატონ პოლიტიკური რეჟიმის საწინააღმდეგო პოზიცია, ან მონაწილეობას მიიღებენ საპროტესტო აქციაში, ისინი გაძევების და მძიმე სანქციების წინაშე აღმოჩნდებიან. ასევე  გამკაცრებული საერთაშორისო დაცვის პროცედურები ფაქტობრივად გამორიცხავს აქტივისტებისთვის/ჟურნალისტებისთვის და სხვა კრიტიკული აზრის მქონე პირებისთვის, მათ შორის, უფლებადამცველებისთვის, საქართველოში თავშესაფრის მიღების შესაძლებლობას.

2024 წელს კვოტების გაუქმებას 2025 წელს მოჰყვა ქალთა უფლებების გაუარესებისგან გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი - 2025 წლის თებერვალში პარლამენტმა ანტიგენდერული საკანონმდებლო ცვლილებები წარადგინა, რომლის საფუძველზეც, ქართული კანონმდებლობიდან, ტერმინების -„გენდერი“ და „გენდერული იდენტობა“, სრული ამოღება იგეგმება, და ცვლილებები 16 საკანონმდებლო აქტში შევიდა.  განსაკუთრებით საგანგაშოა, ის ფაქტი, რომ  საკანონმდებლო ცვლილებით სისხლის სამართლის კოდექსში გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის დანაშაულის ჩადენა, როგორც დამამძიმებელი გარემოება აღარ იარსებებს და  ქალისა და მამაკაცის შეუწყნარებლობის ნიშნით იქნება ჩანაცვლებული. ამგვარად, ავტორიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ლოგიკით, ქართული ოცნების ხელისუფლებამაც აგრესიულად განამტკიცა საკანონმდებლო დონეზე ანტიგენდერული პოლიტიკა. გენდერული თანასწორობა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის უფლებებთან, თანასწორობასთან და დემოკრატიასთან ავტორიტარული რეჟიმის თავდასხმის ობიექტი ჩვენს კონტექსტშიც გახდა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ “ქართული ოცნების” მიერ ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის მზარდ პროცესში ჰომო/ბი/ტრანსფობიის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზებასთან ერთად, გამოჩნდა ანტიგენდერული პოლიტიკის ნიშნები, რომელიც ქალთა უფრო დიდ ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობაზე მოახდენს გავლენას. საკანონმდებლო ცვლილებების მიზანი იყო “უცხოეთიდან თავს მოხვეული” ტერმინის “გენდერის” გაქრობა საკანონმდებლო ბაზიდან და “ქალის და მამაკაცის თანასწორობის” სამართლებრივი ჩარჩოს განმტკიცება. საკანონმდებლო ცვლილება წინააღმდეგობაში მოდის უფლებების დაცვის არაერთ უნივერსალურ დოკუმენტთან, მათ შორის, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის (CEDAW) და სტამბოლის კონვენციებთან, რომელთა რატიფიცირებით საქართველოს სახელმწიფომ  გენდერული თანასწორობის და გენდერული ძალადობის წინააღმდეგ პოლიტიკის შემუშავებისა და დაცვის გარანტიების შექმნის ვალდებულება სწორედ “ქართული ოცნების” ხელისუფლების პირობებში აიღო, თუმცა უკანასკნელი ორი წლის

მანძილზე ის აშკარად აჩვენებს არათუ ქვეყნის ევროპული კურსიდან გადახვევას, არამედ იმ პრინციპებიდან გადახვევასაც, რისი განმტკიცების მოტივითაც ხელისუფლებაში მოვიდა.